პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი
№ 290 (10066)

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი, 1954 წ.

ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

მშვიდობისმოყვარე ხალხები ჩაფუშავენ მშვიდობის მტრების ზრახვებს. — „პრავდის“ 7/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).

მშვიდობისათვის, ხალხთა უშიშროებისათვის! (1-ლი გვერდი).

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (1-ლი გვერდი).

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი (მე-2 გვერდი).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად. — ა. კუზნეცოვი. — პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში (მე-2 და მე-3 გვერდი).

გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა (მე-2 გვერდი).

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის ვადაუდებელი საბრძოლო ამოცანები (მე-3 გვერდი).

ი. თედიაშვილი. — საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე (მე-3 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-3 გვერდი).

მშვიდობის განმტკიცებისა და საყოველთაო უშიშროებისათვის (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

მშვიდობისმოყვარე ხალხები ჩაფუშავენ მშვიდობის მტრების ზრახვებს

ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირი ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ და ამ თათბირზე სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციის ხელმოწერა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენებია. მათ მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და მოსახლეობის ყველა ფენის მრავალი გამოხმაურება გამოიწვიეს.

სულ უფრო მზარდი მძლავრი სახალხო მოძრაობა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ცხადყოფს, რომ უბრალო ადამიანები, ისინი, ვინც მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს ქმნის, და ვისაც პირველ რიგში ატყდება თავს გამანადგურებელი ომების უბედურება, სულ უფრო ნათლად ერკვევიან იმაში, თუ რა საფრთხე ემუქრება მათ. ისინი ხედავენ, რომ **ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია დიდად გაართულებს მთელ მდგომარეობას ევროპაში და ძირს გამოუთხრის ევროპის გადაუჭრელი პრობლემების, და უფინარეს ეროვნისა გერმანიის პრობლემის, მოწესრიგების შესაძლებლობას.**

ხალხები წარსულის მწარე გამოცდილებით და აწმყოს ფაქტებით სულ უფრო რწმუნდებიან, რომ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია და განხორციელება, გააძლიერებს რა ომის საშიშროებას, საფრთხე იქნება ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ეროვნული უშიშროებისათვის, და განსაკუთრებით გერმანიის მეზობელი სახელმწიფოებისათვის. ეს საფრთხე წარმოდგება იმის შედეგად, რომ პარიზის შეთანხმებათა მონაწილე სახელმწიფოები სულ უფრო აძლიერებენ თავიანთ სამხედრო და ეკონომიურ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ევროპის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა წინააღმდეგ. მათ აშკარად დადეს სამხედრო კავშირი გერმანიის მილიტარიზმთან და აღარაღებენ დასავლეთ გერმანიას. თუ პარიზის შეთანხმებანი დაამტკიცეს, აგრესიული „დასავლეთ ევროპის კავშირის“ დამკვრელი სამხედრო ძალა იქნება აღორძინებული ვერმახტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან ჰიტლერელი გენერლები. ეს იმას ნიშნავს, რომ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის შედეგმი განხორციელება პირდაპირ დაეყრდნობა აღორძინებული გერმანიის მილიტარიზმს, რაც ბევრად აძლიერებს ახალი ომის საფრთხეს.

ასეთ პირობებში ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხებს არ შეუძლიათ არ გამოიყვანონ საჭირო დასკვნები გერმანიის მილიტარიზმის აღდგენის ფაქტიდან, რომელიც ახალი ომის საფრთხეს ქმნის. „ამ თათბირის მონაწილე სახელმწიფოები, — ნათქვამია დეკლარაციაში, — აცხადებენ, რომ გადაწყვეტილი აქვთ განახორციელონ, პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის შემთხვევაში, ერთობლივი ღონისძიებანი შეიარაღებული ძალებისა და მათი სარდლობის ორგანიზაციის დარგში, ისევე როგორც სხვა ღონისძიებანი, რომლებიც აუცილებელია მათი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის იმ მიზნით, რომ დაიცვან მათი ხალხების მშვიდობიანი შრომა, უზრუნველყონ მათი საზღვრებისა და ტერიტორიების ხელშეუხებლობა, უზრუნველყონ შესაძლო აგრესიისაგან დაცვა“.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ყველა ეს ღონისძიება შეეხებამება სახელმწიფოთა თავდაცვის განუყრელ უფლებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას და წინათ დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც მიმართულია გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ და მიზნად ისახავს ევროპაში ახალი აგრესიის თავიდან აცილებას.

ევროპის ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობის ფართო წრეების გამოსვლები პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ იმას მოწმობენ, რომ ხალხები სულ უფრო გარკვევით ხედავენ, რომ შეუძლებელია ამ შეთანხმებათა შეთავსება საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკასთან. ამას ვერ ხედავენ — ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვალს არიდებენ — მხოლოდ ისინი, ვინც ისწრაფვის რადაც უნდა დაუჯდეს შეაიარაღოს დასავლეთი გერმანია და შეიყვანოს იგი აგრესიულ ბლოკში.

აშკარად ცდილობდა რა შეენელებინა სიფხიზლე ფრანგი ხალხისა, რომელიც ირაზმება პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი 4 დეკემბერს რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში ამტკიცებდა, რომ საჭიროა „გამოვიჩინოთ დიდი სიმტკიცე, რათა ვიაროთ იმ გზით, რომელსაც საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ მივყავართ“. ამასთან საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა, გასაგები მიზეზებით, არაფერი თქვა იმაზე, რომ მთავრობა, რომელსაც იგი მეთაურობს, ცდილობს რა დაამტკიცებინოს პარლამენტს პარიზის შეთანხმებანი, სწორედ საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ბეშმარიტება ის არის, რომ პოლიტიკა, რომელსაც ახლა დასავლეთის სახელმწიფოები გერმანიის საკითხში ახორციელებენ, პირდაპირ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვითარების შემდგომი შენელების შესაძლებლობებს!

მოსკოვის თათბირის დეკლარაციაზე გამოხმაურება, რაც დედამიწის ყველა კუთხიდან მოდის, ცხადყოფს, რომ მშვიდობისმოყვარე ხალხებს შეგნებული აქვთ, თუ რა საფრთხე მოელის მსოფლიოს. გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ საბრძოლველად ირაზმებიან სულ უფრო ფართო საზოგადოებრივი ფენები. ეს ის ძალაა, რომელიც აიძულებს ომის გამჩაღებლებს ანგარიში გაუწიონ მას. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურად იბრძვიან ევროპის ქვეყნების მშრომელები მუშათა კლასის მეთაურობით. მუშათა კლასის — თანამედროვე საზოგადოების ძირითადი საწარმოო ძალის — დაუზმარებლად, გლეხობის დაუზმარებლად, რომელიც არმიებს ჯარისკაცთა ძირითად კონტინგენტს აძლევს, ინჟინერ-ტექნიკური კადრების, მშრომელი ინტელიგენციის დაუზმარებლად არ შეიძლება ომის წარმოება. მაგრამ მოსახლეობის სწორედ ეს ფენები იბრძვიან ომის მომზადების პოლიტიკის წინააღმდეგ.

დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ გაილაშქრა დასავლეთ გერმანიის მილიონობით მუშამ, რომლებიც დარაზმული არიან პროფკავშირებში. მას გადაჭრით გმობენ ინგლისის ლეიბორისტული პარტიის, კოოპერატივებისა და პროფკავშირების ძირეული ორგანიზაციები.

როგორც 5 დეკემბერს თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა ლეიბორისტული პარტიის მოლვაწემ ბევინმა, დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგია ინგლისელი ერის უმრავლესობა. პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ ილაშქრებს მილიონობით ფრანგი და იტალიელი მშრომელიც. დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ხალხთა ხმა უერთდება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთისა და რუმინეთის, ბულგარეთისა და ალბანეთის ხალხთა მძლავრ ხმას.

— ჩვენ მშვიდობას ვესწრაფვით, — აცხადებენ ნოვაია გუტის (პოლონეთი) მეტალურგიული კომბინატის მუშები, — მაგრამ სასტიკად მოტყუვდებიან ისინი, ვინც ფიქრობს, რომ ეს მისწრაფება ჩვენი სისუსტით აიხსნება. ყოველ საჭირო ღონისძიებას ვიხმართ, რათა დემოკრატიისა და სოციალიზმის მთელი ბანაკის საერთო მეცადინეობით უზრუნველვყოთ ჩვენი მშვიდობიანი შრომა და ჩვენი უშიშროება.

ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხების მხარდამხარ დგას დიდი ჩინელი ხალხი. როგორც გაზეთმა „ჟენმინჟიბაომ“ ხაზგასმით აღნიშნა, ჩინეთი „გარეშე მაყურებლის მდგომარეობაში არ დარჩება, თუ ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხებმა აგრესია განიცადეს. ერთსულოვნად დარაზმული მშვიდობისმოყვარე ხალხებისა და სახელმწიფოების ძალები უძლეველია“.

საბჭოთა ხალხმა მრავალ მიტინგსა და კრებაზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვის თათბირის მონაწილე ევროპის ქვეყნების მთავრობათა დეკლარაციას და გამოაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად დაიცვას მშვიდობა და უშიშროება.

საბჭოთა ადამიანების აზრი კარგად გამოთქვა თავის სიტყვაში ხალხმრავალ მიტინგზე სტალინის სახელობის ბაქოს ქარხნის მე-3 საამქროს ბრიგადირმა ამბ. გრეხოვმა. მან თქვა:

— საბჭოთა მთავრობისა და ევროპის სხვა მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული ქვეყნების მთავრობათა მარტივი და ნათელი წინადადებების მიზანია მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროების განმტკიცება. სწორედ ამიტომ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, სავსებით ვიწონებთ მოსკოვის თათბირზე შემუშავებულ ღონისძიებებს. ჩვენი შრომით განვამტკიცებთ მშვიდობის დიად საქმეს, რომლისთვისაც ჩვენთან ერთად იბრძვის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, რომელნიც აერთიანებენ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყონ თავიანთი უშიშროება. ჩვენ მოუმზადებელს ვერ მოგვისწრებენ, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს სწამთ თავიანთი ძალები, ისინი მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ ყველას, ვინც შეეცდება თავს დაესხას მათ და დაარღვიოს მათი ხალხების მშვიდობიანი ცხოვრება.

მოსკოვის თათბირის მონაწილე მთავრობათა დეკლარაცია, რომელიც ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყნის ხალხთა ნებას გამოხატავს, ხდება მამობილიზებელი ძალა, რომელიც რაზმავს მასებს მშვიდობის განმტკიცებისათვის, ომის გამჩაღებელთა ხრიკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

ისტორიის ნამდვილი შემოქმედნი ხალხის მასები არიან. ისინი არ დაუშვებენ, რომ ერთმა მუჭა ზარბაზნის ვაჭრებმა უკუღმა დაატრიალონ ისტორიის ჩარხი. ხალხებს მშვიდობა სურთ, და ისინი დაიცავენ მშვიდობას!

„პრავდის“ 7/XII მოწინავე.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

★

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲛᲐ

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ ქართველი კომპოზიტორები, მუსიკისმცოდნეები, მუსიკალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების მთავრობათა დეკლარაციის ტექსტი დამსწრეთ გააცნო სტალინური პრემიის ლაურეატმა კომპოზიტორმა დ. თორაძემ.

— ქართველი კომპოზიტორები, — ამბობს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ბალანჩივაძე, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ ესალმებიან ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილეთა დეკლარაციას. ჩვენი კომპოზიტორები მთელი თავიანთი შემოქმედებითი ძალით გააცხოველებენ მუშაობას, რათა შექმნან მშვიდობის იდეით შთაგონებული მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებები.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სტალინური პრემიის ლაურეატი კომპოზიტორი ს. ცინცაძე, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბეგიჯანოვი, კომპოზიტორი ა. შაერხაშვილი და სხვები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲣᲪᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ

ერთსულოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები. კომბინატში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მოსამზადებელი საამქროს უფროსი ინსტრუქტორი ტ. ხუროდა.

— მთელი საბჭოთა ხალხი, — ამბობს იგი, — სავსებით იწონებს და მხურვალედ მიესალმება მოსკოვის თათბირის დეკლარაციას. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ხელი შეუშალოს ჩვენი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობას. ომის გამჩაღებელთა გეგმები ჩაფუშული იქნება.

სიტყვა ეძლევა ახალი სართავი საამქროს მზეთავს ი. მეხაშიშვილს.

— ჩვენი ძალები აურაცხელია, — აცხადებს იგი, — აგრესიის ორგანიზატორთა ყველა ცდა — გააჩაღონ ომი და დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრება — გაცამტვერებული იქნება.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან საწარმოს მრავალრიცხოვანი კოლექტივის წარმომადგენლები. მათი სიტყვები გაისმის როგორც ფიცი, როგორც მოწოდება — გავაცამტვეროთ ომის გამჩაღებელთა გეგმები.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!

★ ★

შემდგომ განვამტკიცოთ საყვარელი სამშობლოს ძლიერება

მიტინგზე, რომელიც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის კლუბში გაიმართა, მოვიდნენ ზეინკლები, ხარატები, მჭედლები, ყველა პროფესიის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები. ქარხნის დირექტორის მოადგილემ რ. ჟღენტმა შეკრებილთ გააცნო ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციის ტექსტი.

სიტყვას იღებს № 5 საამქროს უფროსი ოსტატი გ. პროზოროვი.

— ჩვენ, — აცხადებს იგი, — მხურვალედ ვიწონებთ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას და ერთსულოვნად ვუჭერთ მას მხარს, რადგან იგი მშვიდობის დეკლარაციაა. ჩვენ არ გვინდა ომი, მაგრამ თუ აგრესორები შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი მშვიდობიანი შრომა, გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ.

— საბჭოთა ხალხს, — ამბობს ბუხალტერი მ. კოსტრიგინი, — მშვიდობა სურს. ჩვენ ვაშენებთ ახალ საწარმოებს, რომლებიც სახალხო მოხმარების საგნებს დაამზადებენ, ვაშენებთ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, სანატორიუმებს. ჩვენ წინააღმდეგი ვართ სამხედრო ბლოკებისა, რომლებსაც ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები აკოწიწებენ. ამიტომ მხურვალედ ვუჭერთ მხარს ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირზე მიღებულ დეკლარაციას, რომელშიც დასახულია საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის ახალი რეალური ღონისძიებანი.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში კიროველი ჩარხმშენებლები მხურვალედ იწონებენ ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა მთავრობების დეკლარაციას და მოუწოდებენ კიდევ უფრო მეტი თავდადებით იმუშაონ საყვარელი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

ᲣᲤᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲔᲑᲗ

ᲑᲝᲚᲠᲘ. (საკ. კორ.). საწარმო-დაწესებულებებში, მტს-ებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები, მიძღვნილი ევროპის ქვეყნების მოსკოვის თათბირის მონაწილე მთავრობების დეკლარაციის გაცნობისადმი. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქალაქ გორისა და მისი რაიონის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამ დიდ ისტორიულ დოკუმენტს.

ბამბეულის კომბინატში მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სართავი საამქროს ოსტატის თანაშემწე ქ. დვალიშვილი. მან განაცხადა:

— მოსკოვის თათბირის მონაწილე მთავრობების ერთობლივი დეკლარაცია მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში წინგადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია. ჩვენ ახლა ისე ძლიერნი ვართ, როგორიც არასოდეს არ ვყოფილვართ. კიდევ უფრო მეტი თავდადებით ვიშრომებთ საყვარელი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, მისი თავდაცვითი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ვალდებულებას ვკისრულობ, რომ მრთველთა ის კომპლექტი, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყოველდღიურ საწარმოო გეგმებს 115 პროცენტით შეასრულებს.

— მხურვალედ ვიწონებ მოსკოვის თათბირის დეკლარაციას, — თქვა თავის სიტყვაში სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ სახელგანთქმულმა მეხილემ ს. ცაციაშვილმა, — იგი გვიჩვენებს, რომ მშვიდობა საიმედო ხელშია. ვალდებულებას ვკისრულობ მომავალ წელს ხილის მოსავლის სახელმწიფო გეგმა სულ მცირე ოთხმაგად შევასრულო.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე გორის საკონსერვო ქარხანაში, ახალსოფლის მტს-ში, კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“, ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში და სხვ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲙᲠᲔᲑᲐ

6 დეკემბერს დედაქალაქში გაიხსნა მოსკოვის მწერალთა ყრილობისწინა კრება. ესწრება ათასზე მეტი კაცი — პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები, ლიტერატურისმცოდნეები და კრიტიკოსები, პარტიული მუშაკები და ჟურნალ-გაზეთების რედაქციების წარმომადგენლები.

კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანმა ნ. ს. ტიხონოვმა. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა მწერლების მეორე სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელიც 15 დეკემბერს იხსნება მოსკოვში, უდიდესი მოვლენა იქნება ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

საინფორმაციო მოხსენება ყრილობისათვის მზადების მსვლელობის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ა. სურკოვმა. მან მოკლედ დაახასიათა მწერალთა იმ ყრილობებისა და საანგარიშო-საარჩევნო კრებების შედეგები, რომელნიც მოეწყო აპრილიდან ოქტომბრამდე ყველა მომქმე მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში. მწერალთა და მკითხველთა, ფართო პარტიული და საბჭოთა საზოგადოებრიობის აქტიურმა მონაწილეობამ ამ ყრილობებსა და კრებებში, და პრესის დიდმა ყურადღებამ ცხადყო, რომ საბჭოთა ლიტერატურა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და რომ ჩვენი ქვეყნის მშრომელები უდიდესი ინტერესით ეპყრობიან ლიტერატორთა მუშაობას.

ილაპარაკა რა საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე საბჭოთა მწერლების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობიდან გასული 20 წლის მანძილზე, ა. სურკოვმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც მოწმობენ მის უდიდეს ზრდასა და გავრცელებას. 1953 წელს რუსულ ენაზე გამოიცა 2.733 სახელწოდების მხატვრული ნაწარმოები. წიგნების ტირაჟი 1934 წელთან შედარებით ერთიოსუთად გაიზარდა. უმაგალითოდ გადიდდა მოძმე ხალხთა ენებზე გამოცემული და რუსულ ენაზე თარგმნილი ლიტერატურის ტირაჟები. 900-ზე მეტი საბჭოთა მწერლის ნაწარმოები გამოცემულია საზღვარგარეთ. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა მწერლების კავშირის წევრთა და კანდიდატთა რიცხვი ორნახევარჯერ გაიზარდა და ახლა თითქმის 4.000-ს აღწევს. მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურას შეემატა ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები.

რესპუბლიკებში გამართულმა ყრილობებმა და კრებებმა ცხადყო, თუ როგორ გაიზარდა იდეურად და შემოქმედებითად მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ლიტერატურა. ჩამოყალიბდა ახალი ტიპი კომუნიზმისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილისა მწერალ-მოქალაქისა, მწერლისა, რომლის ნიჭი ხალხს ემსახურება.

ანალიზი გაუკეთა რა ყრილობისწინა დისკუსიების შინაარსს, რომლებზეც აღძრულ იქნა ორგანიზაციული და შემოქმედებითი საკითხები, ა. სურკოვი შეეხო მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს, რაც გამოითქვა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობის მისამართით ყრილობებზე, კრებებზე და პრესაში. კავშირის სამდივნოს, აღნიშნა მან, ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ვერ განახორციელა კოლეგიალობა ხელმძღვანელობაში.

ა. სურკოვის საინფორმაციო მოხსენების დამთავრების შემდეგ დაიწყო კამათი. დილისა და საღამოს სხდომებზე გამოვიდნენ ნ. ატაროვი, ლ. ნიკულინი, ს. ზლობინი, ა. ჩაკოვსკი, ნ. ვილლიამ-ვილმონტი, ბ. ვადეცკი, მ. ალიგერი, ს. მედინსკი, ა. კაზანცევი, ი. ასტაფიევი და სხვები. (საკდესი).

ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲘᲠᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). ქალაქში გაჩაღდა მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის. პარტიის საქალაქო კომიტეტში ჩატარდა აგიტპროპაგანდისტების ხელმძღვანელთა და ლექტორთა ჯგუფის წევრების საქალაქო თათბირი არჩევნებთან დაკავშირებით საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ამოცანებზე. ქალაქის ბიბლიოთეკებში მოეწყო სახალხო სასამართლოების არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა.

მაღაროებსა და მსხვილ წარმოებადწესებულებებში არჩევნებთან დაკავშირებით დამატებით გამოიყო 220-ზე მეტი აგიტატორი. ამჟამად მაღაროებსა და ქალაქის მოსახლეობაში აგიტაციას ეწევა 900-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე. აგიტატორები მშრომელებს განუმარტავენ საბჭოთა კონსტიტუციის დემოკრატიულ ხასიათს, მსმენელებს ესაუბრებიან საბჭოთა სასამართლოს როლსა და მნიშვნელობაზე, ჩვენი სამშობლოს საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე, მაღაროელებს რაზმავენ მეტი მარგანეცისათვის, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის საბრძოლველად. როგორც აგიტატორები, ისე პარტიული განათლების ქსელის პროპაგანდისტები მსმენელებს განუმარტავენ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებას.

მაღაროელებისა და მოსახლეობისათვის იმართება ლექციათ-მხსენებები თემებზე: „საბჭოთა სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყაროები“, „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“, „საბჭოთა სასამართლო საბჭოთა კანონების განმტკიცებისა და სოციალისტური საკუთრების დაცვის სადარაჯოზე“, „სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი“ და სხვ.

• •

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. („კომ“. კორ.). პარტიის რაიონული კომიტეტის ბიბლიოთეკასა და ქალაქის ბიბლიოთეკაში, კულტურის სახლში, სასოფლო კლუბებსა და სამკითხველოებში მოეწყო სახალხო სასამართლოების არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურისა და მასალების გამოფენა.

საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება ლექციები და მოხსენებები. ამ დღეებში სოფელ კონტუათის ცხაკაიას და გოჩაჯანიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში მოეწყო ლექციები თემაზე: „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“.

რაიონში შექმნილია სახალხო სასამართლოების არჩევნების ერთი საარჩევნო ოლქი და 22 საარჩევნო უბანი. აგიტპუნქტების გამგეებად შერჩეულნი არიან გამოცდილი ამხანაგები. რაიონში 720 აგიტატორი ეწევა არჩევნების დებულების პოპულარიზაციას.

ქ. თბილისი. კალინინის რაიონის № 5 საარჩევნო უბანი. სურათზე: ამომრჩევლები აგიტპუნქტში ეცნობიან საარჩევნო ლიტერატურას.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა კარგად მოაწყეს აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხ ფაბრიკაში. ფაბრიკის აგიტატორები უ. სანოძე, თ. კრიალოვა, თ. ჯაჯანიძე, ე. მიქაია თავიანთ საუბრებს უნარიანად უკავშირებენ საწარმოო გეგმების შესრულების საკითხს. ფაბრიკის მთელი კოლექტივი იბრძვის იმისათვის, რომ წლიური გეგმა 10 დეკემბრისათვის შეასრულოს და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცეს 4.500 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია.

რაიონში დღითიდღე ძლიერდება საარჩევნო აგიტაცია.

• •

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔ. (საკ. კორ.). რაიონის მოსახლეობაში საგიტაციო მუშაობას ეწევა 600-მდე აგიტატორი. მათ შორის 50 აგიტატორი ახლახან გამოჩეკილა. საგიტაციო მუშაობა კარგად მოაწყეს არგვეთის, ჩახისა და დაბა საჩხერის აგიტპუნქტებმა. შინაარსიან საუბრებს მართავენ მასწავლებლები — აგიტატორები ნ. ნადირაძე, თ. ლომაძე, თ. აბრამიშვილი (არგვეთი), თ. იაკობაშვილი, ნ. ქამუშაძე, ე. ცუხიშვილი, ვ. იაკობაშვილი (ჩიხა). აგრეთვე დაბაში მომუშავე აგიტატორები ე. გოგატიშვილი, ქ. მეტრეველი, თ. ნოზაძე და სხვები.

რაიონის მოსახლეობაში ეწყობა ლექციათ-მხსენებები შემდეგ თემებზე: „სახალხო სასამართლოს აღმზრდელობითი როლი“, „საბჭოთა დემოკრატია დემოკრატიის უმაღლესი ტიპია“, „სოციალისტური კანონიერება საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე“, „საბჭოთა კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულია“.

ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲗᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ, ᲙᲐᲠᲒᲝᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲡ

ყირგიზეთის სსრ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შესრულეს ხორცის, კარტოფილისა და ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები. სახელმწიფოს ჩაბარდა 8,1 ათასი ტონით მეტი ხორცი, 4,6 ათასი ტონით მეტი კარტოფილი და 9,7 ათასი ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე შარშან. რესპუბლიკამ შეასრულა აგრეთვე ტყავნედლეულის, ზეთოვანი კულტურების თესლის, კურკოვანი და თესლოვანი ხილის დამზადების გეგმები.

ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡᲘᲡ, ᲙᲣᲠᲒᲐᲜᲘᲡ, ᲤᲝᲛᲘᲡᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲣᲛᲔᲜᲘᲡ ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲛᲐ ᲙᲐᲠᲒᲝᲤᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲖ

გავაუმჯობესოთ სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიულ კონფერენციაზე

რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებაა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მის მეცნიერულ-პედაგოგიურ კოლექტივს დიდი წვლილი შეაქვს მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში.

უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ საანგარიშო პერიოდში გარკვეული მუშაობა გასწია სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მიუხედავად ამისა, პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანია, რაზეც გაამახვილა ყურადღება ამ დღეებში შემდგარმა უნივერსიტეტის VIII პარტიულმა კონფერენციამ.

პარტიულ კონფერენციაზე აღინიშნა, რომ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის უკეთ დაყენების შედეგად ამაღლდა პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების დონე, გაიზარდა კომუნისტების აქტივობა. კომუნისტების დიდი უმრავლესობა დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ-თეორიულ დონეს. 300-ზე მეტი აგიტატორი მუშაობს სტუდენტობასა და მოსახლეობაში. შემუშავებულია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის ერთიანი გეგმა, რომლის შესრულებისათვის შეთანხმებულად მუშაობენ რექტორატი, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. საანგარიშო პერიოდში ორჯერ მოეწყო უნივერსიტეტის პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება, რომელზეც სპეციალურად იქნა განხილული იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები.

როგორც მომხსენებლის — პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ს. ჯორბენაძის, აგრეთვე დელეგატთა გამოსვლებიდან გამოირკვა, რომ იდეოლოგიური მუშაობის დაყენებაში დიდი ნაკლოვანებებია. ამით არის გამოწვეული სერიოზული ხარვეზები სასწავლო-აღმზრდელობითს საქმიანობაში. ზოგიერთი ლექცია დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე იკითხება, ხშირია სტუდენტთა მიერ ლექცია-სემინარების გაცდენის შემთხვევები. სექტემბერში ლექციებიც კი ჩაიშალა ფილოლოგიისა და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტებზე. სტუდენტთა შორის არის ხულიგნობის, ლოთობის, ამორალური ქცევის ცალკეული შემთხვევები. საფაკულტეტო პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად ეწევიან ახალგაზრდობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას. სააგიტაციო-მასობრივ მუშაობაში ჩაბმული არ არის პედაგოგიური ძალები.

კონფერენციაზე გააკრიტიკეს მექანიკა-მათემატიკის და დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების პარტიული ორგანიზაციები. ამ პარტიულ ორგანიზაციებს წელს ერთხელაც არ მოუწყვიათ ლექციები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საკითხებზე.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო დისციპლინის განმტკიცების საქმეში ზოგიერთი ლექტორი ცუდ მაგალითს იძლევა, არის ლექტორთა მიერ ლექციების გაცდენის შემთხვევები. უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილი სათანადო კონტროლს ვერ ახორციელებს ლექცია-სემინარების ხარისხზე. გასულ სასწავლო წელს მხოლოდ 4 ლექციის სტენოგრამა განიხილა სამეცნიერო საბჭომ. წელს ამ მხრივ თითქმის არაფერი გაკეთებულა.

პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას. არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული დისერტაციების დაცვისა და ასპირანტების მომზადების საქმე. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების და დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრებს არა ჰყავთ არც ერთი დოქტორი, რის გამო ასპირანტთა აღზრდა მეცნიერებათა კანდიდატებს აქვთ მინდობილი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პარტიის ორჯონიკიძის რაიკომი, თბილისის საქალაქო კომიტეტი ჯერ კიდევ ვერ უწევენ კონკრეტულ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უნივერსიტეტის პარტიულ ორგანიზაციას სასწავლო და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ დაყენებაში. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილება, თქვა მან, პარტიულ კომიტეტს არ დაეხმარა საქართველოს ისტორიის საკითხებზე დისკუსიების მოწყობაში. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება საკმაოდ არ ზრუნავს იმისათვის, რომ დროულად მოგვარდეს საგამომცემლო ორგანიზაციების მიერ უმაღლესი სასწავლებლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების ცენტრალიზებული წესით გამოცემის საქმე.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, სამეცნიერო-კვლევითსა და სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას ზიანს აყენებს შინაურულობა, არასწორად გაგებული მეგობრობა და ნაცნობობა. არის ყოყოჩობის, მლიქვნელობის, თვითდამშვიდების ფაქტები. კონფერენციის მონაწილეებმა მოთხოვეს პარტიულ კომიტეტს გადაჭრით გააძლიეროს ბრძოლა კაპიტალიზმის ამ გადმონაშთების წინააღმდეგ და არსებითად გააუმჯობესოს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებში.

არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის საქმეში ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გამოყენებული გაბედული, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამ საკითხზე ილაპარაკეს როგორც მომხსენებელმა, ისე კამათში გამოსულმა დელეგატებმა — ისტორიის ფაკულტეტის ასპირანტმა ა. ირემაძემ და აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ასპირანტმა გ. ჭიპაშვილმა.

— ასპირანტთა მიერ დისერტაციების დაცვას, — თქვა ამხ. ჭიპაშვილმა, — ისიც აძნელებს, რომ თვეობით ჭიანურდება რეცენზიების წარმოდგენა. ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა კადრების გამოყენების გასაუმჯობესებლად აუცილებელია მინიმუმამდე შემცირდეს შეთავსებები.

უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა ვ. კუპრაძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივის წინაშე მდგომ ამოცანებს. მან აღნიშნა, რომ წელს შედარებით დაბალია სტუდენტთა აკადემიური წარმატება. ეს იმის შედეგია, რომ გაიზარდა მომთხოვნელობა, გაძლიერდა ლიბერალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. ამასთან ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ზოგიერთი ლექტორი მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ვერ კითხულობს ლექციას, ვერ იჩენს მომთხოვნელობას. სტუდენტობას უფრო ღრმად უნდა ჩავუნერგოთ შრომისადმი სიყვარული. პარტიულმა კომიტეტმა ამ საქმეში რექტორატს მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე უნივერსიტეტის პროორექტორმა სამეცნიერო ნაწილში პროფესორმა ს. ყელენტმა, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დოცენტმა პ. ზერაგიამ, პროფესორმა ა. ლეკვამ, კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილემ ნ. იაკობაშვილმა, ქიმიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივანმა ა. გეგეჭკორმა და სხვებმა.

კონფერენციაზე გააკრიტიკეს საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებანი, მაგრამ აღნიშნულ მეცნიერებათა კათედრების არც ერთ ხელმძღვანელს არ მიუღია მონაწილეობა კამათში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. დ. მჭედლიშვილმა.

კონფერენციამ დამაკმაყოფილებლად ცნო პარტიული კომიტეტის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში და დასახა სათანადო ღონისძიებანი მომავალი მუშაობისათვის. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. ს. ჯორბენაძე.

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის



18 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება

ქუთაისი. (სპეც. კორ.). აბრეშუმის კომბინატის კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მოსკოვის მოწინავე საწარმოთა მოწოდებას ხუთწლედის ვადამდე შესრულების შესახებ. მან გადაწყვიტა საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთწლედის დავალება შეასრულოს მომავალი წლის პირველი აგვისტოსათვის, გეგმის გადამეტებით გამოუშვას 125 მილიონი მანეთის ქსოვილი.

კომბინატში წარმატებით შეუდგნენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომის მოწინავე მეთოდების ფართოდ გავრცელების შედეგად მოპოვებულია ახალი საწარმოო გამარჯვება — გადაკარბებით არის განაღდებული ნოემბრის საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმები. საერთო პროდუქციის გამოშვების თერმეტი თვის დავალება შესრულებულია 100,1 პროცენტით. დამზადებულია გეგმით გათვალისწინებულზე 6 პროცენტით მეტი პირველი ხარისხის პროდუქცია. მიმდინარე წლის განმავლობაში მოლებულია 18 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება, შრომის ნაყოფიერება შეადგენს 107 პროცენტს.

სურათზე: ოთხდაზოგსანი მქსოველი ე. ჯიშიაშვილი, რომელიც გეგმებს სისტემატურად გადაკარბებით ასრულებს.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

4 წელიწადსა და 3 თვეში

სამტრესტის მუკუზნის დვინის ქარხნის მუშაკთა კოლექტივმა ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმისას გადაწყვიტა მიმდინარე ხუთწლედის დავალებანი 4 წელიწადსა და 3 თვეში შეასრულოს, 1955 წლის ნოემბრამდე ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს 15 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ამ ვალდებულებას მუკუზნელი მეღვინეები წარმატებით ანაღდებენ. წელს 1 დეკემბრისათვის მათ გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 47 ათასი დეკალიტრი საუკეთესო ხარისხის ღვინო.

ს. შაქარაშვილი.

მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირი

ორი დღის განმავლობაში — 4 და 6 დეკემბერს — მუშაობდა მშენებელთა სრულიად საკავშირო თათბირის თერთმეტივე სექცია. სექციების სხდომებზე განიხილავდნენ სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის, ქალაქებისა და სოფლების დაგეგმვისა და განაშენიანების, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის და სხვა საკითხებს.

საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის სექციაში, რომლის სხდომები მიმდინარეობდა მოსკოვის საბჭოს მარმარილოს დარბაზში, მოისმინეს და განიხილეს ოთხი მოხსენება: უკრაინის სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრის **ვ. პ. ონიშჩენკოსი** — ანაწყობი კონსტრუქციებით საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის შესახებ, მოსკოვის სამშენებლო დეტალების მრეწველობის საქალაქო სამმართველოს უფროსის **ნ. კ. პროსკურიაკოვისა** — საცხოვრებელი სახლების, სკოლებისა და საავადმყოფოების მშენებლობისათვის მსუბუქი ბეტონის დიდი საკედლე ბლოკების წარმოების განვითარების შესახებ, რუსეთის სფსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ლენინგრადის საქალაქო მშენებლობის სამმართველოს № 2 ტრესტის მმართველის **კ. კ. კრუპიჩასი** — ლენინგრადში დიდბლოკებიანი მშენებლობის გამოცდილების შესახებ და სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის სამშენებლო ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის **გ. ფ. კუზნეცოვისა** — მსუბუქი ბეტონის დიდი საკედლე ბლოკების წარმოების განვითარებისა და საცხოვრებელი სახლების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობაში მათი გამოყენების შესახებ.

ათასამდე კაცმა მიიღო მონაწილეობა მშენებლობის ეკონომიკის სექციის მუშაობაში. მშენებლობის დაგეგმვის, დაფინანსების, აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ე. ოპარინმა**, მშენებლობის ღირებულების შემცირების გზების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სამრეწველო ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ **პ. დ. პოდშივალენკომ.**

კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში მიმდინარეობდა სამრეწველო მშენებლობის სექციის სხდომები. მოსმენილ იქნა ოთხი მოხსენება. სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ი. ი. ბალბაჩანმა** დამსწრეთ უამბო საშახტო მშენებლობის დაჩქარების ღონისძიებებზე ანაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით. მოხსენება ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის პრაქტიკის შესახებ გააკეთა ელექტროსადგურთა მინისტრის მოადგილემ **ი. ი. დმიტრიევმა.** სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა **ვ. ი. ოვსიანკინმა** ილაპარაკა სამრეწველო მშენებლობაში ტიპური კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვაზე. ძირითადი თანამედროვე კონსტრუქციები სამრეწველო მშენებლობაში — ლითონისა და ბეტონის მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრის **მ. ი. ლუკაშკინის** მოხსენების თემა.

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სხდომათა დარბაზში მუშაობდა სამშენებლო კონსტრუქციების, დეტალებისა და მასალების სექცია.

სხვადასხვა საშენი მასალისა და დეტალის წარმოებისა და გამოშვების საკითხებისადმი მიძღვნილი მოხსენებანი გააკეთეს სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **ი. ი. ლებედევმა**, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილემ **კ. ვ. ნიკულინმა**, რუსეთის სფსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრმა **ა. ს. ბოლდირევმა**, აგურის მრეწველობის ნოვატორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა **პ. ა. დუვანოვმა**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსმა **პ. ა. სპაშნოვმა** და სტალინური პრემიის ლაურეატმა პროფესორმა **ვ. ვ. მიხაილოვმა.**

სასოფლო მშენებლობის სექციის სხდომები გაიმართა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის „კულტურის საკოლმეურნეო სახლში“. სასოფლო მშენებლობის განვითარების ძირითადი გზების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის საქალაქო და სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ **ა. ი. მოგილნიმ.**

ქალაქებისა და დაბების დაგეგმვისა და განაშენიანების სექციაში მომხსენებლებმა — სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის ქალაქთა მშენებლობის ინსტიტუტის დირექტორმა **ვ. ვ. ბაბეროვმა** და ლენინგრადის მთავარმა არქიტექტორმა **ვ. ა. კამენსკიმ**, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა მოიყვანეს მთელი რიგი მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ უდიდეს მუშაობას, რაც ჩვენს ქვეყანაში შესრულებულია ძველი ქალაქებისა და დაბების აღდგენის, რეკონსტრუქციისა და ახლების მშენებლობის დარგში.

წმინდელ კართან მაღალი სახლის კონფერენც-დარბაზში მიმდინარეობდა სატრანსპორტო მშენებლობის სექციის სხდომები. სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო 500-მდე კაცმა. მოსმენილ იქნა სამი მოხსენება: სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის მოადგილეების **ნ. ა. ხოლინინს** და **ა. ვ. კურგანოვისა** და სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მინისტრის მოადგილის **ვ. ტ. ფედოროვისა.**

სექციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ხსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხანაგმა **ლ. მ. კაგანოვიჩმა.**

მუშაობდნენ აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციისა და მექანიზაციის და სამშენებლო და საგზაო მანქანების წარმოების, სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციათა მუშაობისა და სხვა სექციები.

7 დეკემბერს თათბირი მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთა დასახმარებლად

პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში

ა. კუზნეცოვი,
ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

პოლიტიკური ეკონომია ერთ-ერთი საზოგადოებრივი მეცნიერებაა. იგი სწავლობს ადამიანთა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონებს.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. იგი მუშათა კლასსა და მის პარტიას აიარაღებს საზოგადოებრივი განვითარების კანონების, კაპიტალისტური მონობისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის, კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის კანონების ცოდნით.

პოლიტიკური ეკონომიის საგანი

ყოველი საზოგადოების ცხოვრების საფუძველია მატერიალური დოვლათის წარმოება. მაგრამ მატერიალურ წარმოებას ორი მხარე აქვს: ერთი მხარით იგი მიმართულია ბუნებისაკენ, მეორით — საზოგადოებისაკენ. განვიხილოთ ორივე ეს მხარე.

შრომის პროცესში ზეგავლენას ახდენს რა ბუნებაზე, ადამიანი შრომის ამა თუ იმ იარაღის დახმარებით მოიპოვებს თავისი ცხოვრებისათვის საჭირო მატერიალურ დოვლათს. შრომა ადამიანთა ცხოვრების ბუნებრივი და აუცილებელი პირობაა. შრომის, წარმოების პროცესში ბევრი სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ხასიათის ამოცანა წამოიჭრება ხოლმე.

იქნებ წარმოების ეს საკითხებია პოლიტიკური ეკონომიის საგანი? არა, ეს არ არის მისი საგანი. შრომის პროცესი, როგორც ბუნებასთან ადამიანის მატერიალურ-ტექნიკური ურთიერთმოქმედების პროცესი, ბევრ სპეციალურ მეცნიერებას აინტერესებს. მაგრამ პოლიტიკურ ეკონომიას მატერიალური წარმოების სხვა მხარე აინტერესებს: ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოების პროცესში, ე. ი. წარმოებითი ურთიერთობა. „პოლიტიკური ეკონომიის საგანია სრულიადაც არა „წარმოება“, არამედ ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა წარმოებაში, წარმოების საზოგადოებრივი წყობა“ (ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 3, გვ. 55). ზემოქმედებას ახდენენ რა ბუნებაზე, ადამიანები ამავე დროს ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზეც.

მატერიალური დოვლათის წარმოებას მუდამ ჰქონდა და მუდამ ექნება საზოგადოებრივი ხასიათი. ადამიანს არასოდეს არ უცხოვრია და თავისი არსებობისათვის არ უბრძოლია განცალკევებულად, იზოლირებულად. ადამიანები მუდამ ცხოვრობდნენ და ებრძოდნენ ბუნებას ერთად, კოლექტიურად, და მათი შრომა, მათი მატერიალური წარმოების პროცესი მუდამ იყო საზოგადოებრივი საქმე, წარმოადგენდა საზოგადოებრივი ადამიანის საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ წარმოების პროცესში ადამიანი არა მარტო ბუნებასთან ამყარებს ურთიერთობას, არამედ გარკვეულ ურთიერთობასა და კავშირს ამყარებს სხვა ადამიანებთანაც. ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ ურთიერთობის ხასიათი იცვლება, და ეს ცვლილებანი გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ წყობილებაზე.

საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ჩნდება, არ შეიძლება იყოს არც ფიზიკის, არც ქიმიის, არც მასალათა ტექნოლოგიის, არც რომელიმე სხვა მეცნიერების შესწავლის ობიექტი, გარდა საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერებისა. სწორედ ასეთი საზოგადოებრივ-ისტორიული მეცნიერებაა პოლიტიკური ეკონომია.

წარმოებითი ურთიერთობა ჰაერში როდია დაკიდებული, იგი განბირობებულია საწარმოო ძალების განსაზღვრული მდგომარეობით. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია მას განიხილავს არა საწარმოო ძალებისაგან მოწყვეტით, არაედ მასთან ურთიერთმოქმედებაში. საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობა ერთიანობაში არსებობენ და ურთიერთზე გავლენით ვითარდებიან. თავის ერთიანობაში ისინი ქმნიან იმას, რასაც პოლიტიკურ ეკონომიაში წარმოების წესი ეწოდა.

წარმოებითი ურთიერთობის ხასიათი დამოკიდებულია საზოგადოების საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, ესე იგი შრომის იარაღების განვითარების დონეზე, თვით ადამიანების განვითარებაზე და ნათს საწარმოო გამოცდილებასა და შრომის ჩვევებზე. იცვლება საწარმოო ძალები და მათ შესაბამისად იცვლება წარმოებითი ურთიერთობაც, რომელიც შეადგენს საზოგადოების ბაზისს, ეკონომიურ წყობილებას.

წარმოებითი ურთიერთობის საფუძველია წარმოების საშუალებათა (შრომის იარაღებისა და საგნების) საკუთრება. ვის საკუთრებას შეადგენენ წარმოების საშუალებანი — ცალკეული ადამიანების, ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასების საკუთრებას თუ მთელი საზოგადოების საკუთრებას, — ამაზე დამოკიდებულია საზოგადოებრივი წარმოების მთელი ხასიათი, შრომის ბაზა პროდუქტების განაწილებისა და მათი მოხმარების ხასიათი.

„პოლიტიკური ეკონომიის საგანია, — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — ადამიანთა წარმოებითი, ეკონომიური ურთიერთობანი. ამას მიეკუთვნება: ა) წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები; ბ) აქედან გამომდინარე მდგომარეობა სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისა წარმოებაში და მათი ურთიერთდამოკიდებულება, ანუ, როგორც მარქსი ამბობს: „თავიანთი საქმიანობის ურთიერთგაცვლა“; გ) მათგან სავსებით დამოკიდებული ფორმები პროდუქტების განაწილებისა. ყველა ეს ერთად შეადგენს პოლიტიკური ეკონომიის საგანს“ („სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში“, გვ. 79).

წარმოებითი ურთიერთობის ძირითადი ტიპები

საზოგადოების განვითარების ისტორიაში ცნობილია ხუთი ძირითადი ტიპის წარმოებითი ურთიერთობა: პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური (კომუნისტური).

პირველყოფილ-თემური წყობილება დაფუძნებული იყო კოლექტიურ, ერთობლივ შრომაზე და წარმოების საშუალებებისა და შრომის პროდუქტების საკუთრებაზე. აქ ბატონობდა პირველყოფილი გათანაბრებითი განაწილება, რომელიც საწარმოო ძალების განვითარების დაბალი, პრიმიტიული დონით იყო განპირობებული. პირველყოფილ-თემური წყობილების დროს არ ყოფილა ექსპლოატაციონური ურთიერთობა, წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება, არ ყოფილა კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

მონათმფლობელური წყობილება ეყრდნობოდა კერძო მონათმფლობელურ საკუთრებას წარმოების საშუალებებსა და მონებზე. ამ საზოგადოებაში ეკვე გაჩნდა ექსპლოატატორთა და ექსპლოატირებულთა (მონათმფლობელთა და მონათა) ანტაგონისტური კლასები, გაჩნდა სახელმწიფო როგორც საზოგადოების შშრომელი უმრავლესობის მიმართ მონათმფლობელური უმცირესობის ძალადობის ორგანო.

ფეოდალური წყობილება ემყარება მიწის და წარნოების სხვა საშუალებების კერძო საკუთრებას და წარმოების მუშაკზე — ყმა გლეხზე არასრულ საკუთრებას. აქ ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებსა და თავის პირად მეურნეობაზე. ფეოდალური წყობილების, ისევე როგორც მონათმფლობელური წყობილების, ძირითად ნიშანს შეადგენს შეურიგებელი ბრძოლა ანტაგონისტურ კლასებს — ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის.

კაპიტალისტური წყობილების დროს წარმოებითი ურთიერთობის საფუძველია წარმოების საშუალებათა კერძოკაპიტალისტური საკუთრება, რასაც იმისათვის იყენებენ, რომ ექსპლოატაცია გაუწიონ დაქირავებულ ბუშესა, რომლებიც ფორმალურად თავისუფალი არიან, მაგრამ იძულებული არიან გაყიდონ თავიანთი სამუშაო ძალა როგორც საქონელი. კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობა განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღარ შეესაბამებოდა საწარმოო ძალების ხასიათს, წარმოებით ურთიერთობასა და საწარმოო ძალებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა შეიქმნა. ამ შეურიგებელი წინააღმდეგობის გამოვლინებაა გაფფორებული კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის, რომელიც კაპიტალისტური საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს მოიცავს. კაპიტალისტური წყობილების დასაცავად და საზოგადოების მშრომელი უმრავლესობის დასათრგუნავად ბურჟუაზია იყენებს სახელმწიფოს, რომელიც ბურჟუაზიის დიქტატურას წარმოადგენს. შეურიგებელი კლასობრივი ბრძოლა უკიდურეს სიმწვავეზე აღწევს და გარდუვალად იწვევს რევოლუციურ გადასვლას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე.

სოციალისტური წყობილება დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე. ახალი, სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობა უსაზღვრო გასაქანს იძლევა იმისათვის რომ განვითარდეს საწარმოო ძალები და გაიზარდოს საზოგადოებრივი სიმდიდრე, რომელიც ხალხის სარგებლობას ხმარდება. სოციალიზმის დროს ადგილი არ აქვს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, ექსპლოატატორული კლასები ლიკვიდირებული არიან, და საზოგადოება ვითარდება საერთოდ ყველა კლასობრივი განსხვავების სრული ლიკვიდაციის გზით. სოციალისტური წყობილების მიერ შექმნილი ახალი ტიპის სახელმწიფო საზოგადოების თავისუფალ მშრომელთა ხელში მთავარი იარაღია, რომლის შემწეობითაც შეიძლება აშენდეს კომუნისტური საზოგადოება და დაცულ იქნას იგი გარეშე მტრებისაგან.

პოლიტიკური ეკონომია სწავლობს, თუ როგორ ჩნდება და ვითარდება წარმოებითი ურთიერთობის თვითეული ეს ისტორიული ტიპი, როგორ მზადდება წარმოებითი ურთიერთობის ერთი ტიპიდან მეორეზე გადასვლის პირობები, რის შედეგადაც საზოგადოებრივი წარმოების ზოგი ფორმა ძველდება, ჩნდებიან და იმარჯვებენ სხვა ფორმები.

ეკონომიური კანონების ობიექტური ხასიათი

წარმოების საზოგადოებრივი წესების განვითარება შემთხვევით გარემოებებს ორიენტირებულია. ეს პროცესი, როგორც პოლიტიკური ეკონომია გვასწავლის, კანონზომიერ, ობიექტურ ხასიათს ატარებს. ამიტომ პოლიტიკური ეკონომია ამოცანად ისახავს ცხადყოს ობიექტური ეკონომიური კანონები, შეიცნოს ეს კანონები, რათა საზოგადოებას შეეძლოს გამოიყენოს ეს კანონები თავისი ინტერესებისათვის.

პოლიტიკური ეკონომია ადგენს, რომ ეკონომიური განვითარების კანონები ადამიანთა ნებასა და შეგნებაზე როდია დამოკიდებული და იმათ ვერ ჩამოაყალიბებს სახელმწიფო ან რომელიმე საზოგადოებრივი ორგანო. ისინი იქმნება ობიექტურად, მატერიალური წარმოების პირობების ნიადაგზე, რომლებიც ისტორიულად ვითარდება. ამასთან ზოგი ეკონომიური კანონი საერთოა წარმოების ყველა წესისათვის, სხვები ახასიათებენ წარმოების მხოლოდ ამა თუ იმ წესს, მასთან ერთად ჩნდებიან და მასთან ერთად სტოვებენ ასპარეზს.

საერთო ეკონომიური კანონის მაგალითია საწარმოო ძალების ხასიათისადმი წარმოებითი ურთიერთობის აუცილებელი შესაბამისობის კანონი, რომლის თანახმად საწარმოო ძალებს შეუძლიათ თავისუფლად განვითარდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ შეესაბამება არსებული წარმოებითი ურთიერთობა. წარმოებითი ურთიერთობა აქტიური როლს ასრულებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში, მთავარი მამოძრავებელია საწარმოო ძალების განვითარებაში. მაგრამ ეს ასეა მხოლოდ მანამდე, სანამ ეს ურთიერთობა არ ჩამორჩება საწარმოო ძალებს და გასაქანს აძლევს მათს განვითარებას. როცა წარმოებითი ურთიერთობა აღარ შეესაბამება საწარმოო ძალებს, მათი განვითარების შემაფერხებელი ხდება, საზოგადოება, ადრე თუ გვიან, ეკუთვნებს მოძველებულ წარმოებითს ურთიერთობას და შეცვლის

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის გადაუდებელი საბრძოლო ამოცანები

რამდენიმე დღის წინათ თბილისში გაიმართა ამიერკავკასიის რკინიგზის აქტივის საგზაო კრება, რომელმაც მოისმინა გზის უფროსის ამხ. ქადაგიძის მოხსენება ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის მიერ განვლილ 11 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საგზაო განყოფილებათა უფროსების, მოწინავე რკინიგზელების გამოსვლები მოპოვებული მიღწევებისა და არსებული ნაკლოვანებების შესახებ.

აქტივმა იკისრა ახალი საწარმოო ვალდებულებები, დასახა ღონისძიებები ამიერკავკასიის რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, ახალი, მკვეთრი აღმავლობის მისაღწევად და მოუწოდა ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა მუშაკს გაადვილონ ბრძოლა გეგმების ვადამდე შესრულების, მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, სახელმწიფო ტვირთზიდვის გადაჭარბებით შესრულების უზრუნველსაყოფად.

★ ★ ★

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ცუდი მაჩვენებლებით როდი ეგებება ახალ სამეურნეო წელს. 11 თვეში, ე. ი. 1 დეკემბრისათვის მას ვაგონების დატვირთვის სახელმწიფო გეგმა შესრულებული აქვს 106 პროცენტით.

მაგრამ ეს მაჩვენებელი არსებითად არ ასახავს ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივის მიერ სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. საქმე ის არის, რომ რკინიგზელებს ტვირთზიდვის სახელმწიფო გეგმის გარდა ეძლევათ კიდევ ყოველთვიური ტექნიკური გეგმა, რომელსაც ისინი ვერ ასრულებენ. მაგალითად, ივნისში ამიერკავკასიის რკინიგზაზე დაუტვირთავი დარჩა 5.824 ვაგონი, ივლისში — 8.160 ვაგონი, აგვისტოში — 4.125 ვაგონი და სექტემბერში — 2.237 ვაგონი. ამან გამოიწვია საწარმოებში გაუზიდავი პროდუქციის დაგროვება.

ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი ვერ ასრულებს გეგმას ცალკე სახეობათა ტვირთზიდვის მიხედვითაც. არადამაკმაყოფილებლად მუშაობს აღ მხრივ ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილებაც, რომელმაც ვერ შეძლო ისეთი მნიშვნელოვანი ტვირთების გადაზიდვის დავალებათა შესრულება, როგორიც არის ქვანახშირი, ფლიუსები (მეტალურგიული მრეწველობისათვის), ცემენტი, ფქვილი, თამბაქო, ფეხსაცმელი, ავეჯი და ა. შ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ წელს თბილისის განყოფილებამ ვერ მოაწესრიგა ცემენტის გადაზიდვა, რამაც შეაფერხა მთელი რიგი მშენებლობანი.

რკინიგზელებმა ვერ მოახერხეს გადმოტვირთვის სამუშაოთა კარგად მოწყობა და ამის შედეგად ჩამორჩნენ გადმოტვირთვის გეგმების შესრულებაში. ამჟამად თითქმის ყოველდღე გადმოუტვირთავი დგას ჩიხებში 600-800 ვაგონი. ეს გამოწვეულია არა მარტო რკინიგზელთა ცუდი მუშაობით, არამედ რკინიგზის კლიენტურის უდარდელი მუშაობითაც, განსაკუთრებით იმით, რომ კლიენტურა, ხოლო ზოგჯერ თვითონ რკინიგზელებიც თავს არიდებენ სატვირთო ოპერაციების ღამე წარმოებას.

რკინიგზის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, ტვირთზიდვის შეუფერებელი ზრდის ერთ-ერთი მთავარი რეზერვია ვაგონების ბრუნვის დაჩქარება. უახლეს მონაცემთა დაწვრილებითმა ანალიზმა გამოარკვია, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე დღეღამის განმავლობაში ვაგონი მოძრაობაშია მხოლოდ 3.5 საათს, დანარჩენი 20,5 საათის განმავლობაში იგი სადგურზე დგას. ვაგონების ბრუნვის დაჩქარებაში განსაკუთრებით ჩამორჩენენ სოხუმის, სამტრედიისა და თბილისის განყოფილებები.

რკინიგზელები ვერ ასრულებენ შრომის ნაყოფიერების დაწესებულ ნორმას. წელს ცხრა თვის განმავლობაში თვითეული რკინიგზელის მიერ გამოუშავების ნორმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 96,7 პროცენტით.

ყოველივე ეს აფერხებს რკინიგზის გამართულ მუშაობას. ამ შეფერხებათა თავიდან ასაცილებლად საჭიროა შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება. მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვა, კადრების მოფიქრებულად განაწილება, სატვირთო ოპერაციების განუწყვეტელი წარმოება მთელი დღეღამის განმავლობაში, ყველა ზომის მიღება მოძრაობის გრაფიკის მტკიცე დაცვის უზრუნველსაყოფად, ნუშაობის კულტურის ასამაღლებლად.

მხოლოდ ამ გზით შეძლებს ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა გამოწვევის პასუხად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების პირნათლად განაღდებას. ეს ვალდებულებებია: მიმდინარე წლის ბოლომდე წლიური გეგმის გადამეტებით ვაგონების დატვირთვა; 1955 წელს დატვირთვის გეგმის ვადამდე შესრულება და ხუთწლედის გადამეტებით ვაგონების დატვირთვა; ვაგონების ბრუნვის დაჩქარება 1955 წელს 1950 წლის დონესთან შედარებით 27 პროცენტით; 1955 წლის განმავლობაში მძიმე წონის მატარებლებით 50 მილიონი ტონა სახელმწიფო ტვირთის გადაზიდვა ნორმის გადაჭარბებით; ელექტროენერგიისა და საწვავის ეკონომიის გაწევა სულ ცოტა 2 პროცენტით.

ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა განაღდებით რკინიგზელები უზრუნველყოფენ სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას, მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებას.

საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე



ქ. სტალინირში ამ დღეებში დაიხურა საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

კოლმეურნეები, მექანიზატორები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, მუშები, მოსამსახურეები და მოსწავლეები გულმოდგინედ ეცნობოდნენ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმატებათა ამსახველ ექსპონატებს, დიაგრამებს, საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილებას.

გამოფენის პირველ განყოფილებაში ლამაზად გაფორმებულ სტენდებზე მოთავსებული დიაგრამები გვაუწყებდნენ, რომ 1945 წელთან შედარებით ოლქის კოლმეურნეობებში საგრძნობლად გაიზარდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა. ამ ხნის განმავლობაში მარტო ძროხების რაოდენობამ 95 პროცენტით იმატა.

მეცხოველეობის დარგში კარგი წარმატებები მოიპოვეს სტალინირის რაიონის სოფლების ერიდვის, ტბეთის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის და სხვა კოლმეურნეობებმა. ამავე განყოფილებაში ნაჩვენები იყო პირუტყვის საკვები ბაზის ზრდა კოლმეურნეობებში. 1940 წელს ოლქის კოლმეურნეობებში დამზადებული იყო 460 ტონა სილოსი, 1946 წელს — 6.626, 1950 წელს — 10.860, ხოლო წელს — 18.458 ტონა.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს და მექანიზატორებს გამოფენაზე ცალკე განყოფილება ჰქონდათ დათმობილი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მტს-ების სატრაქტორო პარკი თითქმის ერთიორად გაიზარდა.

ცალკე სტენდზე მოთხრობილი იყო სტალინირის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირის ა. ხაჩიროვის გამოცდილების შესახებ. ამ ბრიგადის ტრაქტორისტებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო ხვნა-თესვის დავალებანი, ამასთან დაზოგეს ბევრი საწვავი. კოლმეურნეებს არასოდეს არ დაავიწყდებათ ამ სახელოვანი ადამიანების მიერ საკოლმეურნეო წარმოებაში გაწეული შრომა. აქვე გამოფენილი იყო ტრაქტორისტების ბ. ვაკანაძეშვილის, ი. თედეევის, ს. ელოევის და სხვათა შრომითი მაჩვენებლები.

ფართოდ წარმოდგენილ მებაღეობა და მევენახეობის სტენდებზე დამთვალიერებელი გრძნობდა თუ რაოდენ დიდი პერსპექტივები აქვს მებაღეობას და მევენახეობას ოლქის კოლმეურნეობებში. აქ გაეცნენ ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის, სტალინირის რაიონის სოფლების თამარაშენისა და ძარწემის მევენახეთა გამოცდილებას.

ციფრები გვაუწყებდა, რომ სტალინირის ხეხილის სახელმწიფო სანერგეში 1954 წელს მიიღეს 210.000 ძირი ნერგი და დაამყნეს 700.000 ძირი ვაზი. ხეხილის სანერგე კოლმეურნეობებს შეუფერხებლად აწვდის ვაშლის ისეთ საუკეთესო ჯიშებს, როგორიც არის ზამთრის ოქროს პარმენი, ქართული სინაპი, კანადური რენეტი, კეხურა და სხვ.

ოლქის კოლმეურნეობები წლითიწლამდე აფართოებენ კარტოფილისა და ბოსტნეულის ნათესს. 1951 წელთან შედარებით ოლქში 56 ჰექტარით გაიზარდა ბოსტნეული კულტურების ნათესები. ამ კულტურების ექსპონატებს შორის ნაჩვენები იყო კროზის ჯიშისა გამოცდის საცდელი ნაკვეთის მიღწევები. ეს საცდელი ნაკვეთი ზღვის დონიდან 1.300 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. აქ გამოცდას აწარმოებენ კარტოფილის თორმეტ ჯიშზე.

სოფელ არგვეცის და სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე 35-40 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს.

გამოფენის სხვა განყოფილება მოგვითხრობდა მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის განვითარების მდგომარეობაზე ოლქის კოლმეურნეობებში. აქ ნახავდით ძარწემელი კოლმეურნის მეაბრეშუმე უ. გოგიძის გამოცდილებას. მან აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა 116 პროცენტით შეასრულა. სპეციალური სტენდი ჰქონდა დათმობილი ზნაურის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეფუტკრის გ. კაბულოვის გამოცდილებას. მან 100 ძირი ფუტკრის ოჯახიდან საშუალოდ თვითეულზე 25 კილოგრამი თაფლი მიიღო. იქვე იყო მუგუთელი მეფუტკრის ბ. ბესაევას, ლენინგორელი ა. ოვაშვილის, ნაგომეველი ა. გაბუევისა და სხვა მეფუტკრეთა მუშაობის მაჩვენებლები.

გამოფენის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოლქის ზოგიერთი კოლმეურნეობა, რომლებსაც სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში საუკეთესო მიღწევები აქვთ, წარმოდგენილი არ ყოფილა. ასეთია ლენინგორის რაიონის სოფელ წირქოლის, ზნაურის რაიონის სოფელ ყორნისის მევენახეების გამოცდილება და სხვ.

საოლქო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა დიდ დახმარებას გაუწევს ოლქის კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ცენტრალური სტენდი.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

წერილები რედაქციას

გავაფართოოთ ღია ნესით ქვანახშირის ამოღება

ტყვარჩელში ქვანახშირის ღია, ანუ როგორც იტყვიან, საკარიერო წესით მოპოვებამ თვალნათლივ დაგვანახვა ასეთი წესით მუშაობის დიდი უპირატესობა: მკვეთრად დიდდება შრომის ნაყოფიერება და შესამჩნევად მცირდება ქვანახშირის თვითღირებულება. მაგალითად, საკარიერო წესით მოპოვებული ტონა ქვანახშირის თვითღირებულება 3 მანეთით ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივი სამუხტო წესით მოპოვებისა.

მაგრამ საკარიერო წესით ქვანახშირის მოპოვება ზამთრის პერიოდში გაცილებით რთულდება. ამიტომ აქ საჭიროა ზამთრისათვის განსაკუთრებული გულმოდგინეობით მომზადება. ტყვარჩელში ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ გავაფართოოთ ქვანახშირის ამოსაღები კარიერები, უზრუნველყოთ მოპოვების საგრძნობად გადიდება.

ამისათვის საჭიროა საკარიერო მეურნეობების აღჭურვა ძლავრი მექანიზმებით — ხულდოზერებით, ტრანსპორტიორებით, ეექსკავატორებით და სხვა მექანიზმებით. ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ამ საქმეს მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. მიიღონ ყველა ზომა საკარიერო წესით ქვანახშირის მოპოვების გასაფართოებლად.

ჯ. ბარქაია.

მოვითხოვთ აფთიაქის გახსნას

ამიერკავკასიის რკინიგზის მე-9 საექიმო უბანი მომსახურებას უწევს ხაშურის რკინიგზის კვანძის მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა მნიშვნელოვან ნაწილს. საექიმო მომსახურებასა და მკურნალობას დიდად უშლის ხელს აფთიაქის უქონლობა, რაც რკინიგზელთა კანონიერ უკმაყოფილებას იწვევს.

რამდენიმე ხნის წინათ გზის საექიმო-სასანიტარო სამსახურმა სადგურ ხაშურაგულში დახურა რკინიგზის აფთიაქი. მოველოდით, რომ ამ აფთიაქს ხაშურში გადმოიტანდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

ამიერკავკასიის რკინიგზის საექიმო-სასანიტარო სამსახურმა ეს მდგომარეობა უნდა გაითვალისწინოს და ხაშურის რკინიგზის კვანძზე აფთიაქი გახსნას.

ნ. ამბოკაძე.

მეჯი მზრუნველობა მექანიზატორებს

ალაზნის მტს-ის მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ნაკლები ყურადღება ექცევა. მექანიზატორები თავიანთ საცხოვრებელ ბინებს 15-20 კილომეტრით არიან დაშორებული. ტრაქტორისტებისა და კომბაინერების უმრავლესობა ცხოვრობს მაჩხაანში, ჯუგაანში, ტიბაანში და სხვა სოფლებში. ის ბინები კი, რომლებშიც მტს-ის მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ, საგრძნობლად მოძველებულია და რემონტი ესაჭიროება.

მტს-ის ტერიტორიაზე ხირსის მუშათა კოოპერატივის გამგეობას აქვს სასადილო, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს მექანიზატორთა მოთხოვნილებას. სასადილოში ოშვიათად მზადდება მაღალი ხარისხის კერძები.

მექანიზატორთა საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ა. ჯუჯუღაშვილი,
ალაზნის მტს-ის აგრონომი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მკაცრად დავსაჯოთ საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლები და მათი ხელშემწყობნი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 3 ოქტომბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ქუთაისის რაიონის სოფელ ვეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ არსებული სერიოზული დანახინჯებანი.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის ბიუროს განხილა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილი. მხილებულ ნაკლოვანებათა გამო ბიუროს დასახა ღონისძიებანი: კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ი. ფესტვენიძეს გამოეცხადა საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით, კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს ი. იაშვილს რაიონის სახალხო სასამართლოში ყალბი ცნობის წარდგენისათვის გამოეცხადა საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით. კოლმეურნეობის მთანგარიშე კ. მაჩალაძე სიყალბის ჩადენისათვის მოიხსნა თანამდებობიდან და გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ხოლო პარტიულის ახლად არჩეულ მდივანს მიეთითა, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ი. ხუციძე მოიხსნა თანამდებობიდან და გამოეცხადა საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით. საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლების შ. კილაძის, ქ. ლომიძისა და მ. ზივზივაძის საქმე გადაეცა პროკურატურას მათი პასუხისგებაში მისაცემად.

მტს-ის უფროს ინსტრუქტორ-ბუხჰალტერ დ. ასათიანს კოლმეურნეობა „წინსვლაში“ დოკუმენტალური რევიზიის დაუმთავრებლობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით.

რაიონის პროკურორს გ. ტაბატაძეს პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ გადაგზავნილი მასალების შემოწმებისადმი კონტროლის დაუწესებლობისათვის, რითაც საშუალება მიეცათ საკოლმეურნეო ქონების მიმთვისებლებს დროებით თავი აერიდებინათ პასუხისმგებლობისათვის, გამოეცხადა საყვედური საგრიცხვო ბარათში შეტანით.

პარტიის რაიკომის ბიუროს დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მას ახლით, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების ახალი დონის შესაბამისი იქნება. ანტაგონისტურ საზოგადოებათა პირობებში ძველი წარმოებითი ურთიერთობის შეცვლა ახლით ისტორიული აუცილებლობით ხდება რევოლუციური გზით.

საზოგადოებრივი წარმოების განვითარების ამა თუ იმ ისტორიული საფეხურის დამახასიათებელ სპეციფიკურ ეკონომიურ კანონებს ეკუთვნის უწინარეს ყოვლისა ძირითადი ეკონომიური კანონი, რომელიც გამოხატავს წარმოების მოცემული წესის უაღრესად ღრმა არსს, ყველაზე მთავარ ნიშანს და თავისი მოქმედებით განსაზღვრავს წარმოების ამ წესის ყველა სხვა კანონზომიერებასა და პროცესს. ძირითად ეკონომიურ კანონში გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი წარმოების მიზანი მოცემულ ისტორიულ პირობებში და მისი მიღწევის საშუალება. მაგალითად, წარმოების კაპიტალისტური წესი დაფუძნებულია დაქირავებული შრომის ექსპლოატაციაზე. მისი განმსაზღვრელი მიზანი და მთავარი მამოძრავებელი მოტივია ზედმეტი ღირებულების წარმოება. ამის საშუალებაა დაქირავებული შრომის ექსპლოატაცია. აი რატომ არის, რომ ზედმეტი ღირებულების კანონი კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონია. მისი ანალიზი, რომელიც კ. მარქსმა მოგვცა; კაპიტალიზმის მთელი პოლიტიკური ეკონომიის ქვაკუთხედს შეადგენს.

თუ ავიღებთ სოციალისტურ საზოგადოებას, აქ წარმოების საშუალებათა საკუთრების ახალი ფორმის მეოხებით და მთელი ეკონომიური ბაზისის შეცვლის გამო წარმოიშვა, განვითარდა და მოქმედებს სხვა ძირითადი ეკონომიური კანონი. ამ კანონის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილება უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე. სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით.

წარმოების თვითეული ისტორიულად განსაზღვრული წესი წარმოადგენს სხვადასხვა სამეურნეო ფორმების, ძველის გადმონაშთებისა და მომავლის ჩანასახების გადახლართვის რთულ და წინააღმდეგობრივ სურათს. პოლიტიკური ეკონომია თეორიული გამოკვლევის გზით ეკონომიური ფაქტებისა და მოვლენების მთელ ამ რთულ ხლართს იქით გვიჩვენებს ძირითად, ტიპიურ ნიშნებს, პოულობს გაბატონებულ წარმოებითს ურთიერთობას, არკვევს ეკონომიური პროცესების ღრმა არსს. ამასთან იგი სარგებლობს მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდით, ეკონომიური ურთიერთობის შესწავლისათვის იყენებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ძირითად დებულებებს. ამის შედეგად ივლ ომუშავებს სხვადასხვა ეკონომიურ კატეგორიებს (ცნებებს), რომლებიც თეორიული ფორმით გამოხატავენ წარმოების მოცემული წესის ეკონომიურ კანონებსა და ეკონომიურ ურთიერთობას, მის ძირეულ, ტიპიურ ნიშნებს.

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური ეკონომია საზოგადოებრივი და ისტორიული მეცნიერებაა. ისტორიულად იცვლება მისი მასალა, ისტორიულად წარმავალია კანონები, რომლებსაც იგი შეისწავლის და ისტორიულია მისი კატეგორიები. იგი არ ეწევა ისეთი კატეგორიების „შემუშავებას“, რომლებიც გამოსადეგი იქნებოდა ყველა დროისა და ხალხისათვის, არამედ აღმოაჩენს დაბალი საფეხურებიდან უმაღლესი საფეხურებისაკენ ადამიანთა საზოგადოების ნოძრაობის ობიექტურ კანონზომიერებებს.

ეკონომიური მეცნიერების პარტიულობა

პოლიტიკური ეკონომია არ შეიძლება არ იტარებდეს კლასობრივ-პარტიულ ხასიათს. სანამ საზოგადოებაში არსებობენ კლასები დაპირისპირებული ინტერესებით, ისინი გარდუვალად სხვადასხვანაირად მიუდგებიან ეკონომიური ცხოვრების მოვლენათა ახსნას. აქედან იქმნება სხვადასხვა „პოლიტიკური ეკონომიები“ — ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული, პროლეტარული. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი ყველანი მეცნიერულად თანაბარი ღირებულებისა და თანასწორუფლებიანი არიან. ერთადერთი მეცნიერული, თანმიმდევრულად სწორი პოლიტიკური ეკონომიაა მხოლოდ პროლეტარული, მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია. რატომ? იმიტომ, რომ ეკონომიური კანონებისა და მოვლენების ანალიზისა და ახსნისას იგი გამოდის მუშათა კლასის — საზოგადოების ყველაზე პროგრესული და რევოლუციური კლასის პოზიციებიდან, კლასისა, რომელიც დაინტერესებული არ არის დრომოჭმული კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობათა მიჩქმალვით. მუშათა კლასი გაჭედულად და ხოლოდაც აშკარავდებს კაპიტალიზმის წყლულებს, თავის კლასობრივ მოთხოვნებში, თავის იდეოლოგიაში ვამოხატავს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველაზე პროგრესულ ტენდენციებს. მუშათა კლასი მატარებელია იმ ახლისა, რაც მომწიფდა, რაც ძველი, დამპალი კაპიტალისტური წესების რევოლუციურ მსხვრევას მოითხოვს, რასაც კაცობრიობისათვის აყვავება და ნამდვილი ბედნიერება მოაქვს.

თანამედროვე ეპოქაში, როცა არსებობს ორი სისტემა — ახალგაზრდა, ზზარდი სოციალისტური სისტემა და მომაკვდავი კაპიტალისტური სისტემა, — არც ბურჟუაზიას და არც წვრილ ბურჟუაზიას არ ძალუძთ მოგვცენ მეცნიერული ეკონომიური თეორია. ბურჟუაზიის პოლიტიკური ეკონომია უკვე დიდი ხანია გადაგვარდა კაპიტალიზმის აშკარა აპოლოგეტიკად. წარმოების კაპიტალისტური წესის შინაგანი კანონების მეცნიერული ობიექტური ანალიზის ნაცვლად ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ამოცანად ისახავს მონოპოლისტური ტენაცლნლობის დაცვას.

მუშათა კლასის დიდმა მასწავლებლებმა — პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლებმა მარქსმა და ენგელსმა, მათი საქმის გენიალურმა განგრძობმა ვ. ი. ლენინმა და მისმა დიდმა თანამებრძოლმა და მოწაფემ ი. ბ. სტალინმა მუშათა კლასს და მთელ შრომელ კაცობრიობას ხელში მისცეს მძლავრი იდეური იარაღი დედამიწაზე კაპიტალისტური ჩაგვრის საბოლოოდ მოსპობისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის ბრძოლველად. ბურჟუაზიას და მის სწავლულ ლაქიებს ეშინიათ ამ ძლევამოსილი, მათთვის უაღრესად საშიში იარაღისა და წელებზე ფეხს იდგამენ, რომ „გაამათილონ“ მარქსიზმი, „გაამათილონ“ პროლეტარული პოლიტიკური ეკონომია. მაგრამ მარქსისტულ-ლენინური ბრძოლა ყოველისშემძლეა, ვინაიდან იგი სწორია. ისტორიული გამოცდილება ყოველდღიურად და ყოველ ნაბიჯზე ადასტურებს ამ ბრძოლებს, და იგი განაგრძობს თავის ტრიუმფალური სვლას.

მარქსისტულ-ლენინურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ნოგვცა სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობისა და გარდუვალობის ეკონომიური დასაბუთება. კაპიტალის დაგროვების კანონების, კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის, კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული ტენდენციის ანალიზმა, რომელიც მოგვცა მარქსმა, შესაძლებელი გახადა ექსპროპრიატორთა რევოლუციური ექსპროპრიაციის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის, პროლეტარული დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის მეცნიერულად დასაბუთება. იმპერიალიზმის როგორც კაპიტალიზმის განვითარებაში უმაღლესი და უკანასკნელი სტადიის ლენინურმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა თავდაპირველად ერთ, ცალკე აღებული კაპიტალისტურ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობისა და აუცილებლობის დასაბუთება. ასეთი ჰორელი ქვეყანა მთელი რიგი კონკრეტულ-ისტორიული მიზეზების გამო რუსეთი გახდა. რუსეთში 1917 წლის ძლევამოსილი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მკაფიოდ მოწმობს საზოგადოების განვითარების ეკონომიური კანონების ცოდნის საფუძველზე მეცნიერული წინასწარხედვის ღრმა სიმართლეს.

მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომია ერთ ადგილზე როდი დგას, იგი შემოქმედებითად ვითარდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებში, ლენინის მოწაფეთა და თანამებრძოლთა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის. სხვა ქვეყნების კომუნისტური და ნუშათა პარტიების ხელმძღვანელთა ნაშრომებში. მისი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ხალხის კოლექტიურ გამოცდილებას, საბჭოთა ხალხისა, რომელიც თავისი შთავონებული შრომით ამენეჯს კომუნიზმს სსრ კავშირში, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხების გამოცდილებას, რომლებიც წარმატებათ ეწევიან სოციალისტურ მშენებლობას.

ამრიგად, პოლიტიკური ეკონომია სრულებითაც არ არის „აკადემიური“, მშრალი მეცნიერება, რომელიც „გულგრილად ეკიდება კეთილსაც და ბოროტსაც“. იგი წყვეტს კლასობრივი ბრძოლის მწვავე საკითხებს, მას საქმე აქვს ისეთ მეცნიერულ ნასალასთან, რომელიც სავსებით უშუალოდ ეხება ადამიანთა სისხლხორცეულ, საარსებოდ მნიშვნელოვან ინტერესებს. მისი თეორიული დასკვნები და დებულებები იმ რაღაც მშრალი, აბსტრაქტული დოგმებისა და ფორმულების ჯამი როდია, რომლებიც შეიიღება მექანიკურად დაიზეპირო, რათა წანდაუწუმ ჯამბაზურად იყენებდე მათ. არაფერი ისე უცხო არ არის პროლეტარული პოლიტიკური ეკონომიის არსისათვის, როგორც სქოლასტიკური „ცნებათა თამაში“, ცხოვრებისაგან რეალური ეკონომიური სინამდვილის ფაქტებისაგან მოწყვეტა. პროლეტარული პოლიტიკური ეკონომია მომქმედების საბრძოლო სახელმძღვანელოა და არა ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოსადეგი მასლონური ფორმულების გროვა. ეკონომიური ცოდნის პროპაგანდის უკანასკნელი წლების პრაქტიკაში ცოტა როდი იყო ეკონომიური მეცნიერებისადმი თალმუდისტური, მედავითნური, „მეცეტატური“ მიდგომის ფაქტები. პარტიამ გადაჭრით დაგმო ასეთი მიდგომა მეცნიერებისადმი. იგი ასწავლის კადრებს განიხილავდნენ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას როგორც სახელმძღვანელოს მოქმედებისათვის, როგორც განვითარების პროცესში მყოფ მეცნიერებას, რომელსაც მუშათა კლასის რევოლუციური პრაქტიკა ასაზრდოებს.

პოლიტიკური ეკონომიის ანალიზში სწორად გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ პარტიამ ამხილა ეკონომიური კანონების სუბიექტივისტური და ფატალისტური გაგება, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ეკონომისტების ერთ ნაწილში.

სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის უდიდესმა ისტორიულმა გამოცდილებამ, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებამ, თვალნათლივ დაგვანახვა მეცნიერული წინასწარხედვის ძალა, რომელიც თავის გამოვლინებას პოულობს კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში, და სოციალიზმის ობიექტური ეკონომიური კანონების მეცნიერული გაგების მნიშვნელობა. ისტორიულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ სოციალიზმის ეკონომიური კანონების მოქმედების ძალა და ხასიათი უნდა შეიცნონ და შეიძლება შეიცნონ მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ იმისათვის, რომ საზოგადოების საკარგებლოდ გამოიყენონ ეს კანონები. სოციალიზმის განვითარების კანონები არ შეიძლება მოქმედებდნენ როგორც ბუნების ბრმა ძალები, ავტომატურად, თვითდინებით. ისინი თავს იჩენენ ხალხის მილიონიანი მასების მოქმედების მეშვეობით. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოლიტიკა ეყრდნობა სოციალიზმის ეკონომიური განვითარების შეცნობილ კანონებს და ამიტომ სწორად ასახავს ხალხის ძირეულ ინტერესებს და სარგებლობს მასების აქტიური მხარდაჭერით.

პოლიტიკური ეკონომია იძლევა იმის ეკონომიურ დასაბუთებას, რომ სოციალისტურ მშენებლობაში აუცილებელია მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი, რომ აუცილებელია მუშათა კლასის მტკიცე კავშირი გლეხობასთან, რაც შეურყეველი საფუძველია სოციალიზმისათვის და კომუნიზმისაკენ წარმატებითი წინსვლისათვის.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში ეკონომიური კანონების ცოდნის აქტიური, შემოქმედებითი გამოყენების მკაფიო ნიმუშს წარმოადგენენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიმართულია ისეთი ისტორიული ამოცანის გადაწყვეტისაკენ, როგორიც არის სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების მკვეთრი აღმავლობის ამოცანა. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და სურსათის სიუხვის შექმნა, ფართო მოხმარების საგნების წარმოების დაჩქარებული განვითარება, საბჭოთა საქონელბრუნვის გაშლა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აღმავლობა შესაძლებლობას მისცემს ჩვენს ქვეყანას გადადგას დიდი ნაბიჯი წინ, კომუნიზმის ამენეჯისაკენ. სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია ეხმარება ჩვენს კადრებს იმაში, რომ უფრო ღრმად ეცნოდოთ და უფრო მახვილად ნიდავდნენ ამ გზაზე საბჭოთა ხალხის წინაშე წამოჭრილ კონკრეტულ ამოცანებს, განაზოგადებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას და წარმართავდნენ, ორგანიზებდნენ ამ გამოცდილებას ობიექტური ეკონომიური კანონების მოთხოვნების შესაბამისად.

მშვიდობის განმტკიცებისა და საყოველთაო უშიშროებისათვის

★ ★ ★

ბულგარეთის მშრომელები მხარს უჭერენ მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებებს

სოფია, 6 დეკემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დუბეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ 6 დეკემბრის ნომერში თავისებს ცნობებს ბულგარეთში გამართული მიტინგებისა და კრებების შესახებ, რომლებზეც ბულგარეთის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ მოსკოვის თათბირის მოწაწილე სახელმწიფოთა დეკლარაციას.

კრებები და მიტინგები მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად გაიმართა გორიგი დიმიტროვის სახელობის რეზინის ნაწარმის ქარხანაში, დიმიტრ ბლაგოევის სახელობის პოლიგრაფიულ კომბინატსა და ფაბრიკა „ტექსტილნა სლავაში“.

ბელგიის სახელმწიფო საბჭომ ანტიკონსტიტუციურად ცნო პარიზის შეთანხმებანი

პარიზი, 6 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო ბრიუსელიდან იუწყება, ბელგიის სახელმწიფო საბჭომ აზრი გამოთქვა, რომ პარიზის შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას. სახელმწიფო საბჭომ მიაჩნია, რომ ბელგიის პარლამენტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია დამტკიცოს ეს შეთანხმებანი, თუ მიიღებენ კონსტიტუციის ზოგიერთ შესწორებას, რომლებსაც ამჟამად სწავლობენ. (ბელგიის სახელმწიფო საბჭო, რომელიც უხუცეს სახელმწიფო მოღვაწეთაგან შედგება, იკრიბება მეტად დიდმნიშვნელოვან საკითხთა განსახილველად და საკონსულტაციო ფუნქციები აქვს. როგორც ცნობილია, 1953 წლის იანვარში სახელმწიფო საბჭომ აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ პარლამენტს დამტკიცებინა ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ და ეს გადაწყვეტილება დაასაბუთა აგრეთვე იმით, რომ ხელშეკრულება არ შეესაბამება ბელგიის კონსტიტუციას; შემდეგში კონსტიტუცია შეიცვალა. — **რედ.**).

გერმანელი პაციფისტები აძლიერებენ ბრძოლას პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ

ბერლინი, 5 დეკემბერი. (საკდესი). მოსკოვის თათბირის დღეებში გაძლიერდა გერმანელ პატრიოტთა ბრძოლა პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ. გერმანიის ორივე ნაწილის გერმანელთა ურთიერთგაგებისათვის.

ზონის ბუნდესტაგის მისამართით ყოველი მხრიდან იგზავნება უამრავი მოთხოვნა — არ დამტკიცოს პარიზის შეთანხმებანი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მოუწოდებენ თავიანთ თანამემამულეებს დასავლეთ გერმანიაში ყოველი ღონისძიებით ეცადონ მიაღწიონ სრულიად გერმანიის შეთანხმებას.

ოდერის ფრანკფურტის საოლქო სახალხო კრების მიმართვაში ჰესენის მხარის ლანდტაგისადმი ნათქვამია: „ყოველმა პატიოსანმა გერმანელმა, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და სურს ბედნიერება ახალგაზრდა თაობისათვის, ამ საფრთხის ქამს უნდა იბრძოლოს ჩვენი ხალხის ზედნიერი მომავლისათვის“.

გერმანიის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერფურტის ორგანიზაციის წევრებმა მოუწოდეს ზონის ბუნდესტაგის ყველა ფრაქციას — არ დაუშვან პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია, რადგან ეს შეთანხმებანი აღრმავებენ გერმანიის გათიშვას, შეუძლებელს ხდიან მშვიდობიან გაერთიანებას და უქმნიან ახალ საფრთხეს ევროპის მშვიდობას. ანალოგიური მოთხოვნებით მიმართეს ბუნდესტაგის დეპუტატებს ესენის ერთ-ერთი რაიონის მაღაროელთა პროფკავშირის ხელმძღვანელებმა და კვერფურტის (ჰალეს ოლქი) მასწავლებლებმა.

ჰამბურგელმა ქალებმა მოაწყეს საპროტესტო დემონსტრაცია დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, გერმანელთა შორის შეთანხმების მიღწევისა და ერთიანი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის. ბრძოლის ლოზუნგით. გელზენკირხენში გაიმართა დასავლეთ გერმანიის ახალგაზრდობის დემონსტრაცია ვერმახტის აღდგენის წინააღმდეგ.

პარიზის საზოგადოებრიობა იბრძვის პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციის წინააღმდეგ

პარიზი, 6 დეკემბერი. (საკდესი). პარიზის ათასობით მცხოვრები შეიკრიბა გუშინ მიტინგზე, რომელიც მოაწყო სენის დეპარტამენტის მშვიდობის კომიტეტმა და რომელიც მიეძღვნა დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ ბრძოლას. შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ საფრანგეთის ქალთა კავშირის თავმჯდომარეს ეფენი კოტონს, აკადემიკოს ვეილალეს, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრს რაიმონ გიუოის, ქ-ნ ლანქევენსა და საფრანგეთის დემოკრატიული საზოგადოებრიობის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც მიტინგის პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

აპატმა ბულიმ, ანდრე სუკიერმა, პარიზის მუშათა გარეუბან ბულონ-ბიანკურის მუნიციპალური სამჭოს წევრმა დელკამბრმა და სხვებმა, რომლებმაც სიტყვები წარმოთქვეს, ხაზგასმით აღნიშნეს: ფრანგი ხალხისათვის აუცილებლად საჭიროა მთელი ძალღონე მოახმაროს იმას, რომ არ დაუშვას დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია ეროვნული კრების მიერ. მათ მხარი დაუჭირეს სამჭოთა მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ მოეწყოს მოლაპარაკება გერმანიის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს შემდეგი მიმართვა ეროვნულ კრებაში სენის დეპარტამენტის დეპუტატებისადმი:

პარიზისა და მისი გარეუბნების მცხოვრებნი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ისინი იბრძვიან გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ გერმანიის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას დაინტერესებულ სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკების გზით.

ისინი მოითხოვენ, რომ დეპუტატებმა ანგარიში გაუწიონ ხალხის ნებას და სმა მისცენ პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, რომლებიც ადამიანებენ ევროპის გათიშვას და აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას.

ისინი მოითხოვენ, რომ დეპუტატებმა მხარი დაუჭირონ დაუყოვნებლივ მოლაპარაკებას, რომელიც შესაძლებელს გახდის ევროპის უშიშროების უზრუნველყოფას და გზას გაუხსნის განიარაღებასა და მშვიდობის განმტკიცებას.

ისინი დაუცხრომლად იბრძოლებენ, სანამ არ მიაღწევენ მიზნებს, რომლებიც შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებსა და მშვიდობის საქმეს.

ჩინელი ხალხი მტკიცე პროტესტს აცხადებს ამერიკის სამხედრო ხროვისა და ჩანკაიშეკ განდიზთა შეთანხმების წინააღმდეგ

პეკინი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „ჟენმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში, რომლის სათაურია „ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება თავისი აგრესიული მოქმედებისათვის“, წერს, რომ 600-მილიონიანი ჩინელი ხალხი გულისწყრომითა და აღშფოთებით იბრძვის ამერიკელ აგრესორთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც მოახდინეს ჩინეთის ტერიტორიის — ტაივანის აშკარა ოკუპაცია და ემზადებიან ახალი მსოფლიო ომისათვის.

გაზეთი „გუანმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში წერს: ვაშინგტონში ეგრეთწოდებული „ერთობლივი თავდაცვის ხელშეკრულების“ ხელმოწერა ნიშნავს ამერიკის აგრესიული წრეების შემდგომ ჩარევას ჩინელი ხალხის წმიდათაწმიდა სუვერენულ და სამართლიან საქმეში — ტაივანის განთავისუფლების საქმეში. ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ამერიკელ აგრესორთა თავხედური სამხედრო პროვოკაციაა 600-მილიონიანი ჩინელი ხალხის მიმართ.

ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციის პროტესტი

შანხაი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, 3 დეკემბერს ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის დელეგაციამ საფრანგეთის კავშირის ჯარების უმაღლესი სარდლობის დელეგაციას გადასცა მემორანდუმი, რომლითაც მოგონებს, რომ საჭიროა მიღებულ იქნას დაუყოვნებლივი ღონისძიებანი, რათა შეწყდეს ტერორისტული აქტები და მხეცობა ზონებში, რომლებიც საფრანგეთის კავშირის ჯარების დროებითს კონტროლშია, სადაც განახლდა ეს აქტები და მხეცობა მოსახლეობის მიმართ და რეპრესიები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ წინააღმდეგობის ომში.

დასასრულ მემორანდუმი შეიცავს მოთხოვნას, რომ საფრანგეთის კავშირის ჯარების უმაღლესმა სარდლობამ გათავისუფლოს ყველა დაპატიმრებული; კომპენსაცია გადაუხადოს დაჭრილებს და მოკლულთა ოჯახებს; სასტიკად დასაჯოს ისინი, ვინც იძლეოდა განკარგულებას დაპატიმრების შესახებ და ახდენდა დაპატიმრებას, ტერორისტულ აქტებსა და სჩაღიოდა მხეცობას, აგრეთვე გასცეს მკაცრი ბრძანება საფრანგეთის კავშირის მთელი ჯარებისადმი დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ყველა ზემოაღნიშნული აქტი.

საფრანგეთში ემზადებიან საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მე-10 წლისთავის დღესასწაულისათვის

პარიზი, 6 დეკემბერი. (საკდესი). საფრანგეთში კვლავ ემზადებიან კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავის დღესასწაულისათვის. საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მე-10 წლისთავისა და საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის 30-ე წლისთავის დღესასწაულის მომწყობ პარიზის კომიტეტს გარდა, ხსეთივე კომიტეტები შექმნილია მთელ რიგ პროვინციულ ქალაქებში. ლიონის კომიტეტში შეიკრიბნენ ეროვნული კრების დეპუტატები და პროფესორთა და მასწავლებელთა ჯგუფი. კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია ედუარდ ერიო. ქალაქ პეროგის კომიტეტში შეიდნენ დეპუტატები ლაკოსტი, ანდრე დენი, აგრეთვე დეპარტამენტის მთელი რიგი გენერალური მრჩეველები სხვადასხვა პარტიებიდან.

ქარიშხალი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიოს ცნობით, გასული კვირის დამლევს ამერიკის შტატებს — ალაბამასა და გეორგიას ქარიშხალმა გადაუარა. დაჭრილია 50 კაცი.



წალკა. კინოთეატრის შენობის ფასადი. ფოტო ი. ტორსა.

ალბანეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

6 დეკემბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ჰიტლერელი ოკუპანტებისაგან ალბანეთის განთავისუფლების მე-10 წლისთავს. სხდომა მოაწყო უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ.

თეატრის სცენა მორთული იყო ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ მ. კვესელავამ. ორკესტრმა შეასრულა ალბანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენება „ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის ათი წელი“ გააკეთა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ანჯაფარიძემ. მან დამსწრეთ გააცნო ალბანეთის უდიდესი წარმატებანი ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა გ. წერეთელმა თავის სიტყვაში ილაპარაკა საბჭოთა და ალბანელი ხალხების ძმური მეგობრობაზე.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. ზაქარიაძემ დამსწრე საზოგადოებას დიდი ინტერესით უამბო ალბანეთის ხალხის უმშეოველო სიყვარულზე საბჭოთა ხალხისადმი, რომელიც ძმურ დახმარებას უწევს მას ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

საქართველოს დედაქალაქის ახალგაზრდობის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტმა ო. ჯანელიძემ.

პოეტმა ი. ნონეშვილმა წაიკითხა გმირი ალბანეთისადმი, მშვიდობისმოყვარე ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 9 და 10 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, სანაპირო რაიონებში დროგამოშვებით ნალექი, აღმოსავლეთის სუსტი ზომიერამდე ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1-6, დღისით 8-13 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5 გრადუსი ყინვა, დღისით 3-8 გრადუსი სითბოს; მთიან რაიონებში ღამით 4-9 გრადუსი ყინვა, დღისით 0-5 გრადუსი სითბო.

სპორტის ამბები

სსრ კავშირის XXII პირველობის ნახევარფინალები

ლენინგრადი, 7 დეკემბერი. (ტასსი). ... და ნახევარფინალური შეხვედრები ჟადრაკში სსრ კავშირის პირველობაზე.

ფინალში მონაწილეობისათვის იბრძოდა 9 გროსმაისტერი და 54 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი.

ლენინგრადის ნახევარფინალში პირველი ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა ტაიმანოვმა (ლენინგრადი). მეორე ადგილზე გამოვიდა ოსტატობის კანდიდატი შჩერბაკოვი (მოსკოვი), მესამეზე — ოსტატი კანი (მოსკოვი), მეოთხეზე — ოსტატი სპასსკი (ლენინგრადი). მეხუთე და მეექვსე ადგილები გაინაწილეს ოსტატმა ლისიცინმა (ლენინგრადი) და გროსმაისტერმა რაგოზინმა. მათ შორის ფინალში დაშვებულია ლისიცინი.

ერევნის ნახევარფინალში გაიმარჯვა მოსკოველმა ახალგაზრდა ოსტატმა ანტოშინმა. მეორე ადგილი დაიკავა გროსმაისტერმა კოტოვმა (მოსკოვი). მომდევნო სამი ადგილი გაინაწილეს ოსტატმა ილივიცკიმ (სვერდლოვსკი), ოსტატმა კორჩნოიმ (ლენინგრადი) და გროსმაისტერმა ფლორმა (მოსკოვი).

გორკის ნახევარფინალიდან დასკვნით შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გროსმაისტერმა გელერმა (ოდესა), ოსტატმა ბორისენკომ (ლენინგრადი), ოსტატმა ფურმანმა (ლენინგრადი), ოსტატმა სიმაგინმა (მოსკოვი) და ოსტატმა მიკენასმა (ვილნიუსი).

ნახევარფინალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული 15 მოჭადრაკე მსოფლიოს ჩემპიონ ბოტვინიკთან, სსრ კავშირის ჩემპიონ ავერბახთან და გროსმაისტერებთან ბრონშტეინთან, კერესთან, პეტროსიანთან და სმისლოვთან ერთად გაიმაგმაშებენ სსრ კავშირის XXII პირველობის ფინალს.

ზამთრის სპორტული სეზონი გაკურიანში

ზამთარი დადგა. მთები თეთრ სამოსელში გაეხვია. მალე დაიწყება ასპარეზობა სათხილამურო სპორტში — მოეწყობა ამხანაგური შეხვედრები, სხვადასხვა ჩემპიონატები.

სპორტის ათასობით მოყვარული, ტურისტი, მთასელელი და მოთხილამურე ისევებს და ვარჯიშობს ზამთრობით ბაკურიანში. ეს საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა, სადაც მოწყობილია სათხილამურო და ტურისტული ბაზები, საჰაერო-სანაგრო გზა. ბაკურიანში შეხვდებით ჩვენი ქვეყნის სახელგანთქმულ მოთხილამურეებს მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და სხვა ქალაქებიდან. სპორტსმენები აქ გადიან სისტემატურ წვრთნას.

მრავალი საინტერესო შეჯიბრება გაიმართება 1955 წელს ბაკურიანში. ამ შეხვედრათა შორის ცენტრალურ ასპარეზობებს წარმოადგენს სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშება სათხილამურო გადარბენაში, ტრამპლინსა და ორჭიდში, აგრეთვე ამხანაგური მატჩები უკრაინის, საქართველოსა და სომხეთის ნაკრებ გუნდებს შორის. საკავშირო ჩემპიონატი გაიმართება 5-დან 10 იანვრამდე, უკრაინისა და საქართველოს გუნდების შეჯიბრება — 15-დან 20 იანვრამდე, სომხეთისა და საქართველოს მოთხილამურეთა შეხვედრა — 22-დან 25 იანვრამდე.

ამ შეჯიბრებათა გარდა, ბაკურიანში მოეწყობა საქართველოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება სათხილამურო სპორტში და სხვა შეხვედრები.

ფეხბურთელთა შეჯიბრება

თბილისის „დინამოს“ სტადიონის საზამთრო საცურავ აუზში მიმდინარეობს ქალაქის უძველესი ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის თასის მოსაპოვებლად. ასპარეზობაში ჩაბმულია 8 გუნდი. მათ შორის არიან „დინამოს“ პირველი და მეორე, ფიზკულტურის ინსტიტუტის, „სპარტაკის“, კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სხვა გუნდები.

7 დეკემბრამდე გამართულ შეხვედრათა შედეგების მიხედვით ლიდერია „დინამოს“ ფეხბურთელთა პირველი გუნდი, რომელმაც ხუთი მატჩიდან ხუთივე მოიგო.

რედაქტორი ნ. ჯაში.

იტალიის ხელისუფალთა ანტიკომუნისტური ღონისძიებანი

რომი, 5 დეკემბერი. (საკდესი). ოფიციალური ცნობაში იტალიის მინისტრთა საბჭოს გუშინდელი სხდომის შესახებ ნათქვამია, რომ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ შელბამ მოხსენება გააკეთა კომუნისტური პარტიის საქმიანობის იმ „გულმოდგინე გამოძიების“ შედეგების შესახებ, რომელიც განხორციელდა ამ უკანასკნელი თვეების განმავლობაში.

იტალიის კომუნისტური პარტიის გაგლერის განუწყვეტელი ზრდა შეშფოთებასა და შიშს იწვევს იტალიის მმართველ წრეებში, და ზემოაღნიშნულ მოხსენებაში არის იმის ცდა, რომ დამალონ ამ გაღლერის ზრდის ნამდვილი მიზეზები და გამოიგონონ იმ ფაქტის რაიმე „ახსნა“, რომ იტალიის კომპარტია სარგებლობს ფართო მასების სულ უფრო მეტი მხარდაჭერითა და ნდობით. მაგალითად, მოხსენებაში ამტკიცებენ, რომ იტალიის კომპარტიას ფინანსურ საზსრეს თითქოს აძლევდნენ ვითომდა მთელი რიგი რომელიღაც კომერციული საწარმოები, რომლებსაც მეთაურობენ „ფარული კომუნისტები“.

ცნობაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამ მოხსენების საფუძველზე მინისტრთა საბჭომ მოიწონა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც იტალიაში ამყარებენ პოლიციური თვითნებობის რეჟიმს და არარად აქცევენ ყბადაღებულ ბურჟუაზიულ თავისუფლებებს. მაგალითად, იზღუდება სიტყვისა და პრესის თავისუფლება: სასამართლო ორგანოები ამიერიდან უფრო სასტიკად უნდა მოეკცნენ კომუნისტების გამოსვლებს პრესაში. გათავისუფლებულია კომპარტიის წევრ-მუშაკთა გაძევება სახელმწიფო აპარატიდან და იმ საწარმოებიდან, რომლებიც სახელმწიფოს განმგებლობაშია.

პალმიერო ტოლიატის განცხადება

რომი, 5 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთმა „პაეზე სერამ“ გამოაქვეყნა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის პალმირო ტოლიატის ინტერვიუ „კომუნიზმის წინააღმდეგ“ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მთავრობამ მოიწონა.

„უეჭველის ყოვლისა, — თქვა ტოლიატიმ, — მე მიმაჩნია, რომ შეცდომა იქნება იმ ღონისძიებებზე ლაპარაკი, რომლებიც მიმართულია „კომუნიზმის წინააღმდეგ“. საქმე ეხება ანტიდემოკრატიულ და ანტილიბერალურ ღონისძიებებს. მთავრობა ცდილობს მიითვისოს იმის უფლება, რომ ადმინისტრაციულ ღონისძიებათა საშუალებით შემოიღოს მოქალაქეთა პოლიტიკური დისკრიმინაცია და გაბადოს იგი საყოველთაო, აგრეთვე მოსპოს ორგანიზაციის თავისუფლება და პრესის თავისუფლება. ეს სინამდვილეში იმას ნიშნავს, რომ მოიპოს ლიბერალური და დემოკრატიული რევოლუციების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მონაპოვარნი, რომლებიც ძირითადად მოასწავებენ მოქალაქეთა თანასწორობას კანონის წინაშე, პრესისა და ორგანიზაციის თავისუფლებას. ამ პრინციპების პატივისცემის ნაცვლად სურთ შემოიღონ ისეთი წესი, რომ მთავრობა სდევნიდეს ყველა იმ პარტიას, რომლებიც მხარს არ უჭერენ ამ მთავრობას...

მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის შეგნება არ შეიძლება არ აღშფოთდეს ამ ცდით — სულ უფრო აშკარად უსიძგოდ იტალიას დემოკრატიისაგან პოლიციური და რეაქციული თვითნებობის რეჟიმისაკენ. რეპრესიულ ღონისძიებათა (მთავრობის ღონისძიებათა. — **რედ.**) შედეგები მალე იჩენენ თავს, მაგრამ ისინი — ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის შემდეგ — სწორედ იმის საწინააღმდეგო აღმოჩნდებიან. რის იმედიც აქვთ იმათ, ვინც სახავს ამ ღონისძიებებს და ცდილობს განახორციელოს ისინი. იმის ფერი, რომ კომუნისტური პარტიის განვითარებას იტალიაში შეიძლება ხელი შეეშალოს დევნის ღონისძიებებით, — აბსურდია.

ჩვენი საქმიანობის ცენტრში იქნება — დაცვა და შევინარჩუნოთ დემოკრატიის ძირითადი მონაპოვარნი, რომ ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს კანონის წინაშე; ვიზრძოლოთ იმისათვის, რომ მთავრობამ და მის შემადგენლობაში შემავალმა პარტიებმა დაიცვან კანონიერება; თავისუფლად წარმოებდეს პროპაგანდა და ბრძოლა პოლიტიკური პროგრესისათვის, სოციალური პროგრესისა და მშვიდობისათვის. ჩვენი საქმიანობის მიზანი იქნება აგრეთვე ის, რომ ვამხილოთ და აღვკვეთოთ ჩვენს ქვეყანაში არსებული რეჟიმის რეაქციული დადგენრება, რაშიც მთავარი ბრალი მიუძღვით ამჟამად კლერიკალებსა და სოციალ-დემოკრატებს; აღვადგინოთ ნამდვილად დემოკრატიული და რესპუბლიკური რეჟიმი.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ ვიბრძვით რა ამ მიზნებისათვის, ჩვენ ვდგავართ ჩვენი ქვეყნის პროგრესის გზაზე“.

დასავლეთ გერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების არჩევნები

ბერლინი, 6 დეკემბერი. (საკდესი). ბერლინის დღევანდელი გაზეთები აქვეყნებენ ცნობებს დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრების 5 დეკემბრის არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ.

ადნ-ის სააგენტოს ცნობის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დასავლეთ ბერლინის ამომრჩეველთა 91,6 პროცენტმა. ამომრჩეველთა ხმები არჩევნების მონაწილე 9 პარტიას შორის ასე განაწილდა: გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია — 684.646 ხმა (44 პროცენტი), ქრისტიან დემოკრატთა კავშირი — 466.595 ხმა (30 პროცენტი), „თავისუფალი დემოკრატიული პარტია“ — 196.845 ხმა (12,7 პროცენტი), „გერმანული პარტია“ — 75.159 ხმა (4,8 პროცენტი), გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია — 41.225 ხმა (2,7 პროცენტი), „გერმანიის დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტია“ — 1.536 ხმა (0,1 პროცენტი), „შუათანა წოდების ეკონომიური გაერთიანება“ — 26.868 ხმა (1,7 პროცენტი), „სრულიად გერმანიის ბლოკი“ — 39.205 ხმა (2,5 პროცენტი) და „თავისუფალი და სოციალური კავშირი“ — 2.374 ხმა (0,2 პროცენტი).

კენჭისყრის ამ შედეგების შესაბამისად გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებაში მიიღო 64 მანდატი (წინათ მას ჰქონდა 61 მანდატი), ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა — 44 მანდატი (წინათ ჰქონდა 34) და „თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ“ — 19 (წინათ ჰქონდა 32 მანდატი). (დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებაში 127 დეპუტატია, — **რედ.**).

დასავლეთ ბერლინის არჩევნების შედეგი მოწმობს, რომ დასავლეთბერლინელ მშრომელთა უმრავლესობა, ისევე როგორც მთელი გერმანელი ხალხის უმრავლესობა, წინააღმდეგია ბონის ადენაუერის მთავრობის პოლიტიკისა, რომლის მიზანია დასავლეთ გერმანიის ესწრაფვისად შეიარაღება დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული სამხედრო ბლოკების ფარგლებში. დასავლეთბერლინელ ამომრჩეველთა უმრავლესობას ნათლად აქვს შეგნებული, რომ ბონელ რევანშისტთა ანტიეროვნული პოლიტიკა შეუძლებელს ხდის გერმანიის მშვიდობიან და დემოკრატიულ გაერთიანებას, და, მაშასადამე, ბერლინის როგორც მთელი გერმანიის დედაქალაქის ერთიანობის აღდგენას.

დასავლეთ ბერლინის გუშინდელი არჩევნები მიმდინარეობდა პოლიციის ტერორის პირობებში. არჩევნების დღეს, როგორც ბერლინის დემოკრატიული პრესა იუწყება, დასავლეთ ბერლინში პოლიციამ დაუპატიმრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის 1.900-ზე მეტი მომხრე; დასავლეთ ბერლინის რეაქციული გაზეთი „მონტაგს-ეხოც“ კი იძულებულია აღიაროს, რომ გუშინ დასავლეთ ბერლინის პოლიციამ დაუპატიმრა 861 „კომუნისტი“.

პოლიციის ამ ტერორმა ის გამოიწვია, რომ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კანდიდატებს ხმა ვერ მისცა ამ პარტიის ყველა მომხრემ დასავლეთ ბერლინში. გარდა ამისა, ანტიდემოკრატიული საარჩევნო კანონის გამოყენების შედეგად გერმანიის ერთიანმა სოციალისტურმა პარტიამ ვერც ერთი მანდატი ვერ მიიღო დასავლეთ ბერლინის დეპუტატთა საქალაქო კრებაში.

ინდონეზიის საზოგადოებრიობა მოითხოვს დასავლეთ ირიანის გაერთიანებას ინდონეზიასთან

ჯაკარტა, 6 დეკემბერი. (საკდესი). 5 დეკემბერს ჯაკარტის ცენტრალურ მოედანზე გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელმაც, როგორც გაზეთების უმრავლესობა აღნიშნავს, ჩაიარა ეროვნული ერთიანობის და კოლონიური რეჟიმის ნაშთების სრული მოსპობისათვის ბრძოლის ნიშნით. მიტინგზე გამოვიდნენ სხვადასხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიტინგის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ძოწოდებენ მთავრობას იბრძოლოს ინდონეზიასთან დასავლეთ ირიანის გაერთიანებისათვის და გამოაცხადოს, რომ „დასავლეთ ირიანში ჰოლანდიის ჯარების ყოფნა აგრესიული აქტია“.

მიტინგის მონაწილეებმა მოუწოდეს ხალხს, ყველა პარტიასა და პროფკავშირს განამტკიცონ ეროვნული ერთიანობა დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს მიმართეს მოწოდებით მხარი დაუჭირონ ინდონეზიელი ხალხის კანონიერ მოთხოვნებს დასავლეთ ირიანის საკითხში.

დასავლეთი ირიანი იმპერიალისტების სამხედრო ბაზაა

ჯაკარტა, 6 დეკემბერი. (საკდესი). პრესა აქვეყნებს პარლამენტის წევრის, დასავლეთ ირიანის მოსახლეობის წარმომადგენლის პაპარეს გაუცხადებას, რომელშიც ნათქვამია, რომ ჰოლანდია და ავსტრალია ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით აძლიერებენ თავიანთ სამხედრო პოზიციებს დასავლეთ ირიანში. ახლა დასავლეთ ირიანში 15 აეროდრომია, მაშინ როცა მსოფლიო ომის დროს იქ მხოლოდ 8 აეროდრომი იყო. დასავლეთ ირიანში იმყოფებიან ჰოლანდიელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა მნიშვნელოვანი კონტინგენტები.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

8 დეკემბერს	ვ. დოლიძე— ძეთო და კოტე
9 დეკემბერს	ა. ბალანჩივაძე— მთების გული

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ 1955 წლის 1 იანვრიდან 10 იანვრამდე ქ. თბილისში (უნივერსიტეტის ქ. № 32) იწარმოებს სასწავლო საგამოცდო სესია.

სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

თბილისის ფოსტამტი

(პლეხანოვის პროსპ. № 44)

აწარმოებს ფულის ბარათების, ამანათების, ფასიანი შეკვეთილი და ავიოწერილების მიღებასა და გაცემას, ტელეფონის და რადიოს სააბონენტო გამოსაღების მიღებას 9 საათიდან 22 საათსა და 30 წუთამდე ყოველდღიურად.

ტელეგრაფი და საქალაქთაშორისო მოსალაპარაკებელი პუნქტი მუშაობს 9 საათიდან 23 საათსა და 45 წუთამდე ადგილობრივი დროით ყოველდღე.

შეიძლება მოიგოთ 100.000 მანეთი

სახელმწიფო 3% შინაგან მოგებიან სესხზე ყოველწლიურად ეწყობა მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოგებათა მორიგი მერვე დამატებითი ტირაჟი გაიმართება 1955 წლის 30 სექტემბერს.

ამ ტირაჟში გარდა **50.000, 25.000, 10.000, 5.000, 1.000** და **400** მანეთიანი მოგებებისა გათამაშდება აგრეთვე **100.000-მანეთიანი** მოგება.

მერვე დამატებითს ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ობლიგაციები, რომლებსაც თან ახლავს № 8 და ყველა მომდევნო ტალონი.

№ 8 ტალონიან ობლიგაციებს შემნახველი სალაროები ჰყიდიან 1955 წლის 1 იანვრამდე. ობლიგაციებს, რომლებ